ყოველდღიური გაზეთი

ფასი 10 კაპ.

შაბათი, 1917 წ. თიბათვის 6 (18)

# საქართველო

ხელის მოწერა და ამბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4. ტელეფონი 15—73

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ ро́ чтов. ящикъ „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით ერთ ადგილზე 1 მანეთი ... კანცელარიაზე—20 კ., კაპკანიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირს. მეტი. ფოსტურად გაზეთი ღირს 2 მანეთი.

№ 120 ყოველდღიური გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა № 120



## სახალხო სახლი

ოთხშაბათს, თიბათვის 7-ს 1917 წ. ქართულ დრამატიულ დასის მსახიობთა მიერ, წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა უ. შექსპირისა

ტრაგედია 5 მოქმედებად **ოტელო** თარგმანი ი. მაჩაბელისა.

მონაწილეობენ საუკეთესო მსახიობნი. ოტელოს როლს შეას. ა. იმედაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. ✦ დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე.

რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.

3—721—2

## ქ. თბილისის მუშათა-ჯარისკაცების დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ კომიტეტის კანცელარია ამა ივნისის პირველიდან

## გადავიდა

პუშკინის ქუჩაზე № 5, (საბირჟო კომიტეტის სადგომი) ტელ. 8—04.

კანცელარიაში ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, საღამოს 7½—8½ საათამდე კომისიის წევრთა მორიგეობა. ეს მორიგეობა დაწესებულია მოსამსახურეებთან დამოკიდებულებების მოსაწესრიგებლად, განცხადებების მისაღებად და მთხოვნელებთან პირად მოლაპარაკებისათვის.

3—719—3

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მეორე რაიონის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ თანამგრძნობთ წევრებათ . ჩაწერა ხსენებულს პარტიაში შეუძლიანთ შემდეგს ბინებზედ: მეორე უბნის ბიუროში, მამადავითის სამრევლო სკოლა თაწმინდის ქუჩა № 18, 10—12 საათამდე და საღამოთი 5—8 საათამდე, გაზეთ „საქართველოს“ რედაქციაში დილის 10 საათიდან შუადღის 2 საათამდე და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზიაში—ვანო ავალიშვილთან, დილის 9 საათ. საღამოს 6 საათამდე.

6—669—3

ექიმი

### მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

ექიმი

### ე. ლ. შალამბერიძე

იღებს სამშობიარო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

ექიმი კბილისა

### ე. ივ. გალარჯიშვილი-მათეშვილისა,

იღებს ავადმყოფებს: დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ. ჩერქეზიშვილის და რუსთაველის ქუჩის კუთხე № 20.

ექიმი ... მიხეილის ... მე

### კალანდარიშვილი

... კლინიკის ...

მაჰუდა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათა ავადმყოფებს მიიღებს ... 1. № 3.

ექიმი

### მ. გ. ვეშხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიევსკის ქუჩა, № 19.

ექიმი

### მ. ფ. მგალობლიშვილი

ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: ოლღას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—53.

ექიმი

### გ. გ. მუხაძე

იღებს ხადონტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა სეკრეტიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი

### მ. ი. მაჩნაძე

იღებს მაგუშეთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს ყოველ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ზემელის ქ. № 4. (ა.—202—)

გამოცემა კნ. ეკატერინე მიხ. ერისთავისა

## ნ. ბარათაშვილის ლექსები და წერილები

## სრული აკადემიური გამოცემა სურათებით.

გამოცემაში დაიბეჭდება სრული ტექსტი ერთის ვარიანტისად აღნიშნული იქნება ყოველი, სულ მცირე განსხვავებაც, დანარჩენ ვარიანტებისა. წიგნს დართული ექნება ვრცელი ბიოგრაფია და წერილები ნ. ბარათაშვილის შემოქმედების შესახებ:

ხ. გორგაძის—„ნ. ბარათაშვილის ლექსის ფორმა“.
ე. თაყაიშვილის—„ხელთნაწერის მიმოხილვა“.
ნ. დუბროვსკის—„მსოფლიო სევდა და ნ. ბარათაშვილი“.
ი. მეუნარგიას—„ცხოვრება და პოეზია ნ. ბარათაშვილისა“.
გრ. რობაქიძის—„ნიკო ბარათაშვილი“.
დ. უზნაძის—„პოეტის სული“.

გარდა ამისა თვითეულ ლექსს ექნება დაწვრილებითი ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული განმარტება.

წიგნი შემკული იქნება სამოცზე მეტი სურათით (იმ ადგილებისა და პირების, რომელნიც მოხსენებულნი იან ნ. ბარათაშვილის ლექსებსა და წერილებში) და პოეტის მრავალის ავტოგრაფით.

**წიგნის ფასი ხელის მოწერით სამ მანეთ-ნახევარია (3—50).** სამასი ცალი დაიბეჭდება, ... ქაღალდზე და ღირება ხუთი მან.

(10—555—11)


თბილისი, თიბათვის 6.

## პირველი დღე

ჩვენმა სამშობლომ განვლო გათიშვისა და დაქსაქსულობის ხანა, ჩვენი სამშობლო ხელახლა გაერთიანებისკენ მიისწრაფვის. აი ის დასკვნა, რომელიც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელი კონფერენციის პირველი სხდომებიდან გამომდინარეობს. ვინ არის წარმომადგენელი ამ კონფერენციაზე? თამამად შეიძლება ითქვას: მთლიანი საქართველო! ეს არ არის წოდებრივი ან ვიწრო კლასობრივი, მით უმეტეს ეს არ არის ვიწრო პროვინციული წარმომადგენლობა. აქ პირქუში ხევსურები მოძრავ იმერლების გვერდით სხედან და დინჯი აჭარლები მხარს უმშვენებენ ფხიზელ ქიზიყელებს. მართლმადიდებლები და მაჰმადიანები, კათოლიკეები და ისრაელები ხელიხელ ჩაკიდებულნი მიდიან და იდეა, რომელიც მათ აერთიანებს, არის იდეა თავისუფალი საქართველოსი.

მაგრამ არის ერთი ელემენტი, რომელიც თვალსაჩინოდ სჭარბობს ამ მრავალფეროვან ლაშქარში. ეს არის გლეხკაცობა. ეს ბუნებრივი მოვლენაა. გლეხკაცობა ქართველი ხალხის დიდს უმრავლესობას წარმოადგენს და გასაკვირალი არ არის, რომ მისი რაოდენობითი ძალა საგრძნობელია იმ პარტიის ყრილობაზე, რომელსაც დროშაზე ეროვნება და ხალხოსნობა უწერია. ჩვენი მომავალი სახელმწიფოებრივი ცხოვრება სოფლის დემოკრატიას უნდა დაეყრდნოს უწინარეს ყოვლისა და დიდათ საყურადღებოა ის გარემოება, რომ ეს დემოკრატია დღეს, კიდეც ირაზმება და იწვრთნება პოლიტიკურად. კიდევ მეტი: თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართველ გლეხკაცობას თავისი იდეური მეთაურები წარმოუშვია კიდეც და ეს მეთაურები არაფრით ჩამოუვარდებიან ევროპ წოდებულ განათლებულ საზოგადოების წარმომადგენელს. ეს დამტკიცდა ამიერ-კავკასიის გლეხთა ყრილობაზე, ეს დამტკიცდა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის დამფუძნებელ კონფერენციაზეც. კვირის სხდომაზე კახელი გლეხების წარმომადგენელმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც შეიძლება სალი პოლიტიკური აზროვნების ნიმუშად ჩაითვალოს.

ჩვენ დღეს დიდმნიშვნელოვანი ევოლუციის მოწმენი ვართ. ქართული კულტურა ხალხოსნური და ეროვნული იყო აყვავების ხანაში. შემდეგ ის ნელნელა არისტოკრატიული და თემომობრივი გახდა. ხალხი დაქვეითდა სულიერად და ქონებრივად, მთლიანი საქართველოს იდეა ტომობრივმა სხვა და სხვაობამ დაჩრდილა. ბოლოს მეცხრამეტე საუკუნეში, ქართველმა ხალხმა ვერ გაუძლო ჩრდილოეთიდან მოხეთქილ ტალღას და ეროვნული გადაგვარების გზას დაადგა. მაგრამ როგორც სჩანს ხალხის გულის სიღრმეში კიდევ ცოცხალი ყოფილა ძველი კულტურული ტრადიციები. ქართველ დემოკრატიას ტლანქ გარეგნობის ქვეშ ფაქიზი და მოუდრეკელი სული შენარჩუნებია. როგორც სჩანს, უცხო გავლენას მხოლოდ ჩვენი საზოგადოების ზედა პირი წაურყვნია, ხალხის ბუნება კი წინანდებურად ქარწყლებრივ ხელუხლებელი დარჩენილა. და აი, ქართული კულტურა ხელახლა ეროვნულ-ხალხოსნური ხდება ჩვენ თვალწინ.

ბუნებრივია, რომ ეროვნული შეგნება არსად არ არის ისე გაფაქიზებული და გაღრმავებული, როგორც ჩვენი სამშობლოს განაპირა კუთხეებში: ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის კონფერენციაზე ეს ნათლად დაამტკიცა საინგილოსა, ხევსურეთისა და აჭარის წარმომადგენლების მოლოცვამ. საუკუნეების განმავლობაში ამ განაპირა პროვინციებს უჯიათსა და დაუნდობელს მტერთან უხდებოდა ბრძოლა. მათი ძალა ამ უსწორო ბრძოლაში განახევრდა, მაგრამ მათი ნებისყოფა არ მოდრეკილა. და როგორც ძველი ჰერეთის ისე ძველი მესხეთის ღირსეულ შთამომავალთ დღესაც ამაყათ უჭირავთ ისტორიული საქართველოს დროშა. ეს დროშა არასდროს არ დაიხრება.

## ქართული პრესა

ცნობილია რომ სოციალდემოკრატიული პარტია ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპს იცავს. თვითგამორკვევის პრინციპი კი იმას ნიშნავს, რომ ყოველს ერს უფლება უნდა ჰქონდეს თვით მოაწესრიგოს თავისი საკუთარი ცხოვრება. ქართული სოციალდემოკრატიული გაზეთი „ერთობა“ ამ თვალსაზრისით უყურებს ფინლიანდიის დამოუკიდებლობის საკითხს და სხვათა შორის ამბობს:

„ფინლიანდიის ერი დამოუკიდებლობისაკენ მიილტვის. ეს აშკარაა ყველასათვის, ვინც თვალყურს ადევნებს ფინლიანდიელთა პოლიტიკურ მოღვაწეობას. ამ შემთხვევაში ყველა პარტია ერთსა და იმავე პოზიციაზე დგას.

დემოკრატია მომხრეა ერთა თვით გამორკვევის უფლების. ყველა ერმა თვისი ბედი თვითვე უნდა გადასჭრას. აქ არავითარ ძალდატანებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ეს განსაკუთრებით ნათელ ჰყო მსოფლიო ომმა... რუსეთის რევოლიუციონური დემოკრატია, ყოველივე ძალდატანებას უარჰყოფს. ფინლიანდია დამოუკიდებლობას მოითხოვს. ამ შემთხვევაში მას გვერდში ამოუდგება რუსეთის მუშათა კლასი და შეგნებული გლეხკაცობა.

რუსეთის მთლიანობა თვითმპყრობელობის დროს დაფუძნებული იყო ხიშტსა და ძალადობაზე. ამიერიდან ამას ადგილი აღარ ექნება. თუ ერი თავისთვის საუკეთესოდ მიიჩნევს გამოყოფას და დამოუკიდებელ ცხოვრებას, ამ შემთხვევაში დემოკრატია მის სურვილს სამართლიანად იცნობს და მას თავისუფლების მოპოვებაში დაეხმარება.

ფინლიანდიის დემოკრატია დამოუკიდებლობას ესარჩლება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ის მიზანს მიაღწევს.“

# ომი და ზავი

## დეპეშები

**მთავარბანაკის ცნობა.**

**პეტროგრადი.** თიბათვის 4. **დასავლეთის ფრონტი.** ჩვეულებრივი სროლაა. ლისეცის რაიონში (სტანისლავოს სამხრეთ-დასავლეთითაა) ჩვენმა მზვერავებმა გაიარეს მავთულის ხლართები, სადარაჯოს ზურგს მოექცნენ და გაჰფანტეს მტრის სადარაჯო რაზმი.

**რუმინეთისა და კავკასიის ფრონტზე** ჩვეულებრივი სროლაა.

**მფრინავთა მოქმედება.** ჩვენმა მფრინავებმა მტრის ზურგის ზოგიერთ სიმაგრეში ყუმბარები ჩააგდეს.

**ინგლისის ბანაკის ცნობა.**

**ლონდონი.** თიბათვის 3. **ოფიციალი.** იპრივოშინის არხის სამხრეთით, მტერმა საარტილერიო ბრძოლის შემდეგ, ჩვენს პოზიციებზე იერიში მოიტანა. ჩვენ 22 გერმანელი დავატყვევეთ, დანარჩენები გავფანტეთ და იერიში მოვიგერიეთ.

**ლონდონი**, თიბათვის 3. **ოფიციალი.** დილით ჩვენ იერიში მივიტანეთ და დავიჭირეთ მტრის პოზიციების ერთი უბანი. მტერი სასტიკ წინააღმდეგობას გვიწევდა და დიდათ დაზარალდა. დავატყვევეთ 43 კაცი. ლოოსის აღმოსავლეთით მტერზე თავდასხმის დროს აგრეთვე ბევრი გერმანელი დავატყვევეთ. მდ. სკარპის ჩრდილოეთითა და არმანტიერისა და იპრის შუა, დღის განმავლობაში საარტილერიო ბრძოლა იყო.

**მფრინავთა მოქმედება.** გუშინ ჩვენმა მფრინავებმა მტრის ორი ჰაეროპლანი ჩამოაგდო. ჩვენ ორი ჰაეროპლანი გვაკლია. სამირზარო იწყება: ბრიტანელ მფრინავთა რაზმმა ყუმბარები ჩააგდო სენ-დენი-ვესტერის ჰაეროპლანთა სადგომში. შევნიშნეთ ფეთქებით გამოწვეული ცეცხლი.

**ლონდონი.** თიბათვის 2. **საღამოს ოფიციალი.** დღეს დილით, მონშილეპრეს აღმოსავლეთით, კონტრ იერიშით მტრის პოზიციები დავიჭირეთ.

**მფრინავთა მოქმედება.** გუშინ საჰაერო ბრძოლის დროს, ჩვენმა მფრინავებმა ჩამოაგდეს მტრის ერთი ჰაეროპლანი და დააზიანეს 3.

**ლონდონი.** თიბათვის 1. **ოფიციალი.** სამხრეთ ასპარეზზე ახალ შეტევით მტერი ვაიძულეთ დაეტოვებინათ რამდენიმე ნაწილი მათგან დაჭერილ მეინარესა და სენტივენის ტყის შუა ადგილებისა. ჩვენმა ჯარმა პლეგსტრეტის ტყის აღმოსავლეთისაკენ წაიწია. ღამის განმავლობაშიც გაპარდის რაიონში წინ ვიწევდით, ბულეკურის ჩრდილოეთით და ხოდგეს სამხრეთით მდებარე მტრის თხრილებს ღამე თავს დაესხით და რამდენიმე ტყვეც წამოვიყვანეთ.

**საფრანგეთის ბანაკის ცნობა**

**პარიზი.** თიბათვის 3. (დაგვიანებულია). **საღამოს ოფიციალი.** ალეტის სამხრეთითა და ჩრდილოეთით და შამპანში კორნილიეს მთის რაიონში გაცხარებული საარტილერიო ბრძოლაა. კურსის რაიონში ჩვენ მტერს ზოგიერთი თხრილები წავართვით. მტრის ჯარისკაცები ზოგი დავხოცეთ, ზოგი დავატყვევეთ.

**პარიზი.** თიბათვის 2. (დაგვიანებულია). დღემ მთელ ფრონტზე, გარდა იურტებიზ-კრონნის რაიონისა, მშვიდობიანად განვლო.

**პარიზი.** თიბათვის 1. **საღამოს ოფიციალი.** მთელს ფრონტზედ, გარდა კრანის რაიონისა და კორდენის სამხრეთ-აღმოსავლეთისა, საარტილერიო ბრძოლაა.

**პარიზი.** თიბათვის 2. **დღის ოფიციალი.** იურტებიზის და კრაონის რაიონებში მთელი ღამე საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა. ქევანკურს სამხრეთით მტრის ბატარეა ჩვენს წინააღმდეგ მოქმედობენ.

**პარიზი.** თიბათვის 3. (დაგვიანებულია). პელის სამხრეთით მზვერავთა მოქმედებაა. მთელს ფრონტზე დროგამოშვებით საარტილერიო ბრძოლაა. თესალიაში, მიალიკის ტბასთან ფრანგმა მფრინავებმა მტრის პოზიციებს ყუმბარა დაუშინეს. ჩვენმა ცხენოსნებმა დაიჭირეს კალაბაკუ, ტრიკალო, სოფიდესი და დემორლი. ჩვენი ქვეითი ჯარი ვივლოში შევიდა.

**პარიზი**, თიბათვის 2. (დაგვიანებულია). დოირანის ტბის რაიონში მტერმა, საარტილერიო ბრძოლის შემდეგ, სამჯერ სცადა იერიშის მოტანა, მაგრამ უკუ ვაგდეთ. მდ. ფარდარის მარჯვენა ნაპირზე ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა.

**მფრინავთა მოქმედება.** ბრიტანელმა მფრინავებმა გორნვას რკინის გზის სადგურში, თესალიაში სერესის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ყუმბარები ჩაჰყარეს.

**პარიზი**, თიბათვის 1. მტერმა რამდენიმე იერიში მოიტანა, განსაკუთრებით ფრანგებისა და იტალიელების ფრონტებზე. იერიშები მოვიგერიეთ. ბევრი დავატყვევეთ. ჩვენმა ცხენოსნებმა ტრიკალუ დაიპყრეს.

**იტალიის ბანაკის ცნობა.**

**რომი**, თიბათვის 1. **ოფიციალი.** მაისის 31 ღამეს მტერი შეეცადა მოულოდნელად თავს დაგვსხმოდა მორტეგარასთან. მძლავრი შეტაკების შემდეგ დიდის ზარალით უკუ ვაქციეთ. იულიისის ალპის ფრონტზე მტერმა არტილერია აამოქმედა. გორიცის და კარსოს აღმოსავლეთით და კონსტანჟევიცის სამხრეთით რამდენჯერმე შეეცადა თავდასხმას. ჩვენმა არტილერიამ მტერი ცეცხლში გახვია და მთლად გაჰფანტა მათი ბაცცისკენ (ლუჩის აღმოსავლეთით) მიმავალი ჯარი. ამასთან აფეთქებულია მტრის ზურგით მდებარე სელლოს ახლოს, ტყვია-წამლის რამდენიმე საწყობი.

**ბელგიის ბანაკის ცნობა.**

**ჰავრი.** თიბათვის 4. **ოფიციალი.** გარდა სტეენტრატესა და გეტნასის რაიონებისა მთელს ფრონტზედ უმნიშვნელო საარტილერიო ბრძოლაა.

**ჰავრი.** თიბათვის 2. (დაგვიანებულია) შილდერბურგის, სტეენსტრატესა და გეტნასის მიმართულებით ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა.

**მფრინავთა მოქმედება.** გუშინ ჩვენმა მფრინავებმა მტრის ორი ჰაეროპლანი ჩამოაგდო. კეიმანთან მესამე ჰაეროპლანს, ჩვენი მფრინავები თავს დაესხნენ და დააზიანეს.

**მფრინავთა თავდასხმა**

**დვინსკი**, თიბათვის 2. ღამით მტრის რამდენიმე ჰაეროპლანი ქალაქს თავს დაესხა და ყუმბარები ჩამოაგდო. მატერიალური ზარალი უმნიშვნელოა.

**პეტროგრადი**, თიბათვის 1. მაისის 30-ს და 31-ს მტრის 12 ჰიდრო-ჰაეროპლანი თავს დაესხნენ რიგის ყურის კუნძულთა სანაპიროებს, არენსბურგსა და რიგაში მდგარ გემებს. ყუმბარის ნატეხებით დაიჭრა ორი მეზღვაური. სხვა ზარალი არა ყოფილა.

**გემების თარეში**

**ლონდონი**, თიბათვის 2. **ოფიციალი.** ბრიტანეთის სამხედრო გემებმა დაიჭირეს ფორტი სალიფიდა, 94 ტყვე წამოიყვანეს. წამოიღეს აგრეთვე სამი ტყვიის მფრქვეველი და ორი საველე ზარბაზანი. მოკლულია ერთი ინგლისელი. დაჭერილი ფორტი წითელი ზღვის აღმოსავლეთით ნაპირზე, პერიმის ჩრდილოეთით მდებარეობს.

**კრეისერის დაღუპვა.**

**ლონდონი.** თიბათვის 3. მაისის 31-ს ღამით, ჩრდილო ზღვაში ნაღმით დაიღუპა კრეისერი „ავენგერ“-ი. კრეისერის მოსამსახურენი, ერთის გარდა, გადაარჩინეს.

**ავსტრიის აგიტატორების შეპყრობა**

**ადესა.** მაისის 25. (დაგვიანებულია). როგორც სარწმუნოდ გვაუწყებენ იეზამპოლის რაიონში შეიპყრეს ავსტრიის პარლამენტის წევრები: ორი აფიცერი და ორიც ჯარისკაცი. გამოირკვა, რომ ისინი მე-3-ე შტაბის მზვერავ რაზმელთაგანი იყვნენ და რუსეთის ჯარში აგიტაციას ეწეოდნენ.

**ლაპარაკი ავსტრიის რეიხსტაგში ზავის შესახებ.**

**სტოკჰოლმი.** თიბათვის 1. ვენიდან იტყობინებიან ბიუჯეტის განხილვის დროს სოციალ-დემოკრატმა ზეიტცმა განაცხადა:—მთავრობამ საქვეყნოდ ხმა მაღლა უნდა განაცხადოს, რომ ის მზად არის ყოველი საშუალება იხმაროს ომის მალე დასამთავრებლად. მთავრობამ უნდა გამოსცეს საგანგებო მოწოდება ზავისთვის, რომლითაც იგი დაუახლოვებს ტახტს არა მარტო თავის ხალხს არამედ მტერთა ქვეყნებშიაც აღფრთოვანებას და დასტურს გამოიწვევს. ავსტრო-უნგრეთის ხალხს ჰსურს მონარქიულ საძირკველზე ძმობა-ერთობით იცხოვროს სხვა ხალხებთან და მართვა-გამგეობის კონსტიტუციონური ფორმა განამტკიცოს. ჩეხელ სოციალ-დემოკრატიის სახელით ილაპარაკა ემერალმა. ემერალმა განაცხადა, რომ ჩეხები ზავისკენ მიისწრაფიან და მოითხოვენ ავსტრო-უნგრეთის სახელმწიფოს გარდაქმნას თავისუფალ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირად. პოლონელმა ლაზარკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კარაკოვის პოლონელთა ყრილობამ პოლონეთის დამოუკიდებლობის რეზოლიუცია გამოიტანა. უკრაინელმა კომანჩუკმა ხმა მაღლა განაცხადა, რომ ავსტრო-უნგრეთის მომავალი კერძო ერების ავტონომიებზე არის დამოკიდებული. რუმინელთა დეპუტატმა განაცხადა: რუმინელებსაც შეუძლიათ იცხოვრონ თავისუფალ ავსტრიაში.

**სერბიის იმპერიალიზმი.**

**კორფუ.** მაისის 30. (დაგვიანებულია). პაშიჩი ესაუბრა რიშოს და აღნიშნა გერმანეთის ინტრიგა „უანექსიო და უკონტრიბუციო“ ზავის შესახებ. ჩვენ თუ ეს ფორმულა მივიღეთ,—სთქვა პაშიჩმა, მაშინ ჩვენ გერმანელ იმპერიალისტების ხელში ვითამაშებთ და დემოკრატიის დამარცხებას ხელს შევუწყობთ. პაშიჩის აზრით რიგომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი სიტყვებით ხელი შეუწყო რუსეთის თავისუფლების განმტკიცებას, რომელსაც მოსპობა ელოდა უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის შეკვრით.

**სამხედრო სესხი.**

**პარიზი.** თიბათვის 2. დეპუტატთა პალატამ მიიღო სამხედრო სესხი—და თან დასძინა, რომ პალატა ყოველთვის მხარს დაუჭერს მთავრობას ეროვნულ საქმეში, რათა აღდგენილ იქნეს 1871 წ. შელახული უფლება და ელზას-ლოთარინგი საფრანგეთს დაუბრუნდესო.

**„სიკვდილის ლეგიონი“**

**სიმბირსკი.** თიბათვის 2. ქალთა ორგანიზაციამ გადასწყვიტა დააარსოს ლეგიონი, სახელად „სიკვდილის ლეგიონი“. ლეგიონში მრავალი ქალი ეწერება მოხალისედ.

**საბრძოლველად გასვლის მოთხოვნა.**

**სიმფეროპოლი.** თიბათვის 3. მე-33-ე სათადარიგო პოლკის მე-6-ე როტა საბრძოლველად გასვლას მოითხოვს. დღეს დედაკაცებიც კი იბრძვიან თავისუფალ რუსეთისთვის და ჩვენ ზურგში ყოფნა არ შეგვფერისო.

## გერმანეთის ცდა ზავისათვის

**გერმანეთის პირობები და შვეიცარიის შუამავლობა.**

**პეტროგრადი.** თიბათვის 2. დროებითი მთავრობისაგან. დროებითმა მთავრობამ შემდეგი დეპეშა მიიღო, რომლის სიმართლე ეჭვს გარეშეა: „პოლიტიკურ დეპარტამენტიდან. ბატონ ოდიეს პეტროგრადში. ბერნი 1917 წ. თიბათვის 5-ს. მთავარი მესაბჭოე გოფმანი გავალებთ სიტყვიერად გადასცეთ გრიმს შემდეგი: გერმანეთი იერიშებს არ დაიწყებს, იმ დრომდე, მანამ რუსეთთან შეთანხმება შესაძლებლად მიაჩნია. სხვა და სხვა გამოჩენილ პირებთან ლაპარაკის შემდეგ დავრწმუნდი, რომ გერმანეთი ეძებს რუსეთთან ზავს, მტკიცე ეკონომიურ და კომერციულ თანხმობას, ფინანსიურ შველასა და მეგობრულ მოლაპარაკებას პოლონეთის, ლიტვისა და კურლიანდის საქმეებში. ამასთანავე გერმანეთის აზრით რუსეთს უფლება უნდა ჰქონდეს მოითხოვოს ჩემს შინაურ, რუსულ საქმეში ნუ ჩაერევითო. დაპყრობილ ტერიტორიის საკითხში კი გერმანეთი იმ აზრს ადგას, რომ რაც მან ადგილები დაიპყრია გაცვლით უნდა იქნენ რუსეთის მიერ ავსტრიის დაპყრობილ ადგილებში. მე დარწმუნებული ვარ, თუ რუსეთი თავის მოკავშირეებით ზავის ჩამოგდებას მოინდომებს, როგორც „ნევერო-გერმანსკაია-გაზეტა“-ში სწერია, გერმანეთი თავის მოკავშირეებით უკან არ დადგება. ამავე გაზეთში სწერია ანექსიების შესახებ, რომ გერმანეთს არა ჰსურს რომელიმე ტერიტორიის შემოერთება ეკონომიურად და პოლიტიკურად თავის გაძლიერებისათვისაო“. ამ დოკუმენტის გამო დროებითმა მთავრობამ თავის წევრებს წერეთელსა და სკობელევს დაავალა შეეძლე მოქალაქეს რობერტ გრიმს, ვისთანაც ეს დეპეშაა გაგზავნილი, ახსნა მოსთხოვეთო. ბოლოს გამოირკვა, რომ გრიმს წერეთლისა და სკობელევისათვის ასეთი განცხადება ჩაუბარებია: „1. ჩემს წასვლამდე მინისტრებმა წერეთელმა და სკობელევმა გამომიცხადეს ვითომ შვეიცარიის დესპანმა პეტროგრადში ბერნიდან, გერმანეთის საზავო ზოგიერთ პირობების შესახებ, დეპეშა მიიღო და სთხოვდნენ ეს ჩემთვის გადმოეცათ, ამიტომ მე ვაცხადებ, რომ შვეიცარიის დესპანს ჩემთვის არც სიტყვიერად, არც წერილობით არაფერი შეუტყობინებია. 2. ამ დეპეშით გერმანელებსა ჰსურთ ჩემი პეტროგრადში გამოსვლები გამოიყენონ საერთაშორისო სოციალისტურ კავშირის აღსადგენად და საერთო ზავის დასამყარებლად, რასაც ასე ესწრაფვის გერმანეთის მთავრობა, თავის დიპლომატიურ გეგმის და სეპარატულ ზავის სასარგებლოდ. ამგვარი ცდა, ჩემის აზრით, უკმეხი მანევრია. 3. ჯერ კიდევ ბერნში ყოფნის დროს, როცა გერმანეთის მთავრობის წარმომადგენლებთან გამოვცხადდი პასპორტის შესამოწმებლად და სტოკჰოლმში მოგზაურობის დროს, მე სრულ იმასა ვცდილობდი არავითარი პოლიტიკური ბაასი არ მომსვლოდა გერმანელ სოციალისტების უმრავლესობასთან. 4. რაც შეეხება, იმას, მართლა მონაწილეობდა შვეიცარიის მთავრობა ამაში თუ არა ამას მხოლოდ მაშინ დავამტკიცებ ან უარვყოფ, როდესაც იქ ჩავალ. 5. და ბოლოს მე, როგორც მოწინააღმდეგე ყოველგვარი იმპერიალისტური მისწრაფებისა სასტიკად დავგმობ და გამოვამჟღავნებ ამგვარ უკმეხ მანევრებს“. წერეთელი და სკობელევი ამ განმარტებას არ დაკმაყოფილდნენ. დროებითმა მთავრობამ დაადგინა წინადადება მისცეს რობერტ გრიმს რუსეთის საზღვრები დასტოვოს. გრიმი რუსეთიდგან წავიდა.

**მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს პასუხი.**

**პეტროგრადი.** თიბათვის 2. ბრძანება ფლოტისა და ლაშქარისა 1917 წ. მაისის 22-ს.

მაისის 22-ს ჩვენმა რადიოტელეგრაფის სადგურებმა მიიღეს გერმანელთა რადიოტელეგრამა, რომელშიც აღმოსავლეთის ფრონტის მთავარსარდალი პრინცი ლეოპოლდი აცხადებს, რომ მეომარი სახელმწიფონი მზად არიან ზავის შეკვრაზე და მოუწოდებენ რუსეთს—გამოგზავნონ თავიანთი წარმომადგენელნი ზავის პირობებზე მოსალაპარაკებლადო. ამის გამო პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ ასეთი მოწოდება გამოსცა: „გერმანეთის აღმოსავლეთ-ფრონტის მთავარსარდალმა პროვოკაციონურ მოწოდებით მიჰმართა ჩვენს ჯარს. რას ჰპირდება თავისუფალ რუსეთის რევოლიუციონურ ჯარს ვილჰელმის გენერალი? მისი სიტყვით—იგი ჩვენ ჯარს აწვდის საპატიო ზავს, რაც ასე ჰწყურიანთ და რასაც მოითხოვენ ჩვენები. ასე ამბობს იგი, რადგან მან კარგად იცის, რომ რუსეთის დემოკრატია საპატიო ზავის გარეშე სხვა ზავს არ მიიღებს. ჩვენთვის საპატიო ზავი კი მხოლოდ უანექსიო და უკონტრიბუციო ზავია. და მერე რას გულისხმობს გერმანეთის იმპერატორის გენერალი საპატიო ზავის სახით? ამაზე მისი მჭერმეტყველური დუმილი გვიპასუხებს. გერმანეთის მთავარსარდალი მოუწოდებს ჩვენს ჯარს თავის მიერ ნაჩვენებ გზისკენ, რომელიც, როგორც თვითონ ამბობს, მოკავშირეებთან განხეთქილების ჩამოუგდებლად, ბოლოს მოუღებს საზარელ ომს. ასე ამბობს იგი, რადგან იცის, რომ ჩვენი ჯარი უაღრეს გულისწყრომით უარყოფს სეპარატიულ ზავს. რას გვპირდება სეპარატიულ ზავის გარეშე გერმანელთა იმპერატორის გენერალი? აღმოსავლეთ ფრონტის გერმანელ ჯარის სარდლებთან ფარულ მოლაპარაკებას. „სეპარატიული დროებითი ზავი გერმანეთისთვის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს“, ამბობს გერმანელ ჯართა მთავარსარდალი. თუ რამდენად მართალია ეს—გვიპასუხოს გერმანეთის გენერლის რადიოტელეგრამამ. ის ასეთ პროვოკაციასაც არ მიჰმართავდა თუ სეპარატიული დროებით ზავის გაგრძელება გერმანეთის მთავარ შტატს თვის მოქმედების გეგმაში არ ექმნებოდა შეტანილი. მთავარსარდალი მიგვითითებს ჩვენ ფრონტზე მის ჯარის უმოქმედობას. მაგრამ მას ავიწყდება ის, რაც ასე ახსოვს რუსეთს. მას ავიწყდება სტოხოდი, ავიწყდება ის, რომ რუსის ჯარმა იცის, თუ სად წაიყვანა ჩვენი ფრონტიდან მრავალი დივიზია და მძიმე ბატარეები. მას ავიწყდება, რომ რუსეთს ესმის ინგლის-საფრანგეთის ფრონტებიდან სისხლის მღვრელ ბრძოლების საზარელი ხმაურობა. რუსეთმა იცის, რომ მოკავშირეებთან განხეთქილება კარგს არას მოუტანს თავისუფალ რუსეთის რევოლიუციონურ ლაშქარს, იგი არაც თუ ახალ საძმო საფლავებზედ აატირებს რუსეთს, არამედ მთლად ლ დუპეს გზაზედ დააყენებს. რევოლიუციონური დემოკრატია თავის გზით მიისწრაფის ერთად ერთ მიზნად დასახულ საპატიო, საყოველთაო ზავისკენ და რა თქმა უნდა, არავითარ ყურადღებას არ მიაქცევს გერმანეთის პროვოკაციონურ მოწოდებებს. იგი ყველა ტანჯულთა და ჩაგრულთ მოწოდებით მიისწრაფვის თავის მიზნის განსახორციელებლად. ამ საქმეში მას მხარს უჭერენ ფრიდრიხ ადლერის მეგობარნი, კარლ ლიბკნეხტი, ლედებურგი და ჰააზე, ინგლისის და საფრანგეთის მედგარნი მებრძოლნი, რომელთა მიზანია: ბრძოლა მებატონე კლასების წინააღმდეგ. რუსეთმა იტვირთა მეომარ სახელმწიფოთა დემოკრატის გაერთიანება.

ეს მიზანი განუხორციელებელი დარჩება, თუ გერმანელი იმპერიალისტები ისარგებლებენ ჩვენსმიერ ზავის მოთხოვნით და მოკავშირეებს გამოჰყოფენ. რუსეთის რევოლიუციონური დემოკრატია საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციით მშვიდობიანობის გზას უმზადებს კაცობრიობას. ლაშქარი თავისუფალ რუსეთისა ხმას მისცემს რუსეთის დემოკრატიას, როგორც მოკავშირეთა, ისე რუსეთთან მეომარ სახელმწიფოთა წინააღმდეგ. თავისუფალ რუსეთის. რევოლიუციონური ჯარი ყურს არ ათხოვებს გერმანეთის მთავარ შტაბის პროვოკაციას. წინააღმდეგ ერთი ღირსეული პასუხია მოსალოდნელი. მტკიცედ შეკავშირდით რევოლიუციონურ დროშის ქვეშ, მეტი ენერგია რუსეთის საბრძოლველ ძალის შესაქმნელ-გასამტკიცებლად. გახსოვდეთ, რომ საჭიროა საბრძოლველი ძალა რუსეთის თავისუფლების დასაცველად და საყოველთაო ზავის დასამყარებლად“. ასე უპასუხებს რუსეთის რევოლიუციონური დემოკრატია ვილჰელმის გენერალს.

ეს ბრძანება ჯარის ყველა ნაწილებში უნდა იქმნეს წაკითხული.

სამხედრო-საზღვაო მინისტრი კერენსკი.

## რუსეთი და უცხოეთი

**მილიონერის დაჭრა**

**გომელი.** თიბათვის 2. რევოლვერით მძიმედ დასჭრეს მილიონერი სკურატოვიჩი.

**კომისარის ურჩობა**

**მინსკი.** თიბათვის 2. მიწის საკითხის შესახებ ბორისოვსკის კომისარმა პრაპორშჩიკმა ვულფიუსმა დადგენილება გამოსცა, რომელიც სავსებით ეწინააღმდეგება მთავრობის დეკლარაციას ამ საკითხში. გუბერნიის კომისარმა ვულფიუსს წინადადება მისცა დადგენილება უკანვე წაეღო, მაგრამ ვულფიუსმა უარი განაცხადა, ვინაიდან ძალა ჩემ მხარეზე არისო.

**ხაზინის გაცარცვა**

**მინსკი.** თიბათვის 2. ქალაქთა კავშირის ხაზინა გაცარცვეს. საერთოდ 317.000 მან. წაიღეს.

**არქიმანდრიტის გადაყენება**

**კიევი.** თიბათვის 2. აღმ. კომიტეტმა არქიმანდრიტი ვიტალი გადააყენა და მონასტერში ცხოვრება მიუსაჯა. არქიმანდრიტს ბრალი ედება, რომ ის უკიდურესი მონარქისტია და რომ კონტრ-რევოლუციის ნიადაგს ამზადებდა ჯარში.

**რუსეთის მანეთი ფინეთში**

**ჰელსინგფორსი.** თიბათვის 3. რუსეთის მანეთის კურსი კვლავ დაეცა. 100 მან. მხოლოდ 160 მარკად ფასობს.

**უწესოება ციხეში**

**ბლაგოვეშჩენსკი.** მაისის 28. (დაგვიანებულია). ტუსაღები არ ემორჩილებიან ციხის ადმინისტრაციას. მოხდა უწესოება. წესიერების აღსადგენად ჯარი იქმნა შეყვანილი ციხეში.

**ახალი მთავრობის მოწინააღმდეგეთა დაპატიმრება**

**ტამბოვი.** თიბათვის 3. ახალი მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციისათვის დაპატიმრებულ იქმნენ ყოფილი ბოქაული პეტიკი და მღვდელი გოვოროვი.

**შვედეთის პარლამენტი**

**სტოკჰოლმი.** თიბათვის 2. პარლამენტის დაწყობას თიბათვის შვიდს ელიან.

**სურსათის გატანის აკრძალვა**

**გომელი.** თიბათვის 1. გუბერნიის კომისარის განკარგულებით აიკრძალა კვერცხების გუბერნიის საზღვარს იქით გატანა. ამ ჟამად 1000 კვერცხი 60 მანეთად იყიდება.

**სტაროობრიადცების შუამდგომლობა.**

**მოსკოვი,** მაისის 31. სტაროობრიადცების ყრილობამ დაადგინა, შუამდგომლობა აღძრას დროებით მთავრობის წინაშე, რათა მან ძველი რეჟიმის დროს წართმეული ქონება უკანვე დაუბრუნოს.

**ალბერტ-ტომა.**

**პეტროგრადი,** მაისის 31. (დაგვიანებულია) საფრანგეთის მინისტრი ალბერტ-ტომა დროებით მთავრობის სხდომას დაესწრო.

**ცეცხლი სოფლად**

**ჟიტომირი,** თიბათვის 1. დაბა ოლევსკში ცეცხლმა 400 სახლი გაანადგურა; რამდენიმე ასი ოჯახი ულუკმა-პუროდ დარჩა.

**რკინის გზის გაფუჭება**

**ნოვოჩერკასკი.** თიბათვის 4. ნოვოჩერკასკიდან 30 ვერსის დაშორებით ბოროტ-განზრახვით გაფუჭებულ იქმნა რკინის გზის ლიანდაგი. საბედნიეროდ მემანქანის მეცადინეობით ამ გზაზე მიმავალი მატარებელი დამსხვრევას გადარჩა.

## საბერძნეთის მეფის ტახტიდგან გადადგომა

**კონსტანტინე საბერძნეთს განშორდა.**

**პარიზი.** თიბათვის 2. ჰავასის სააგენტო იტყობინება, რომ ყოფილი მეფე, დედოფლით ტახტის სამი მემკვიდრე და პრინცესე პორტ-სროკოსიდან გაანენისაკენ გაემგზავრნენო.

**ახალი მეფის ტახტზე ასვლა.**

**ათინა.** მაისის 31- (დაგვიანებულია) მემკვიდრე ალექსანდრე ტახტზედ ავიდა. ამ ამბავმა აღელვება ცოტათი დააწყნარა. გადამდგარი მეფე დღეს სასახლეს დასტოვებს და ტატოიში გაემგზავრება და შემდეგ ინგლისის გემით საზღვარ გარეთ წავა.

**მოკავშირეთა მოთხოვნილების შესრულება.**

**ათინა.** მაისის 30. (დაგვიანებულია) საბერძნეთის მთავრობამ სავსებით დააკმაყოფილა შეთანხმების სახელმწიფოების მოთხოვნილება. მეფე კონსტანტინემ დღეს გამოაქვეყნა აქტი ტახტიდან გადადგომისა და მანიფესტით ხალხს მიჰმართა. მოკავშირეების სურვილისამებრ, მეფე ლონდონში გადასახლდება. ზაიმისის მთავრობა იქმნება აღიარებული სრულიად საბერძნეთის მთავრობად.

**მანიფესტაციები და ენტუზიაზმი.**

**სოლუნი.** თიბათვის 2. (დაგვიანებულია) მეფის ტახტიდგან გადადგომამ აუწერელი ენტუზიაზმი გამოიწვია. გუშინ მოხდა მანიფესტაციები ვენიზელოსისა და მფარველ სახელმწიფოთა პატივსაცემლად.

**ვენიზელოსის მთავრობა და ხალხი.**

**პარიზი.** თიბათვის 3. ლარისის მცხოვრებნი ალტაცებით შეჰხვდნენ ვენიზელოსის მთავრობას.

## რევოლუცია

**დეპეშები**

**რკინის გზის მოსამსახურეთა დეპუტატების ყრილობა**

**ხარკოვი.** თიბათვის 3. სამხრეთ რკინის გზის მოსამსახურეთა დეპუტატების ყრილობამ უკმაყოფილება გამოსთქვა სრულიად რუსეთის რკინის გზის მოსამსახურეთა გაფიცვის გამო, რადგან გაფიცვას იმის გარდა, რომ რკინის გზის საქმეში დეზორგანიზაცია შეაქვს, ტრანსპორტის საქმესაც ჰღუპავს და რევოლიუციასაც კარგს არ უქადის. ყრილობამ მიიღო რა ცხედველობაში მოსამსახურეთა მძიმე მდგომარეობა, დაადგინა რომ მაინც და მაინც პირადი ინტერესები სამშობლოს კეთილდღეობას უნდა მსხვერპლად ეწირებოდესო.

**ექიმების დელეგატთა პროექტის დამტკიცება**

**კამენეც-პოდოლსკი.** თიბათვის 3. გენერალ ბრუსილოვმა დაამტკიცა ფრონტის ყველა ორგანიზაციათა ექიმების დელეგატთა ყრილობაზე შემუშავებული პროექტი კოლეგიალურ ორგანოთა ორგანიზაციის შესახებ. თვითეულ პოლკის ექიმები კოლეგიას შეადგენენ საქმიო საკითხების განსახილველად. დივიზიის ექიმები შეადგენენ დივიზიის ყრილობას. თითოეულ კორპუსთან შესდგება კორპუსის რაიონის ექიმთა ყრილობა. ჯარში მოწვეულ იქნებიან პერიოდული კრებები ყველა ორგანიზაციათა ექიმებისა. ამის გარდა არსდება ჯარის სანიტარული საბჭო, რომლის დადგენილებები აუცილებელნი იქნებიან შტაბის სანიტარულ განყოფილების უფროსისათვის.

**კირსანოვის რესპუბლიკის ლიკვიდაცია.**

**პსკოვი.** თიბათვის 2. მოხდა კირსანოვის რესპუბლიკის ლიკვიდაცია. დაპატიმრებულნი იქნენ და ტამბოვში გაიგზავნა 22 კაცი.

**უწესოება**

**ჟიტომირი.** თიბათვის 2 გიგოსში ეკონომიურ ნიადაგზე ჯარის კაცთა საბჭოს მონაწილეობით უწესოება მოხდა. დაპატიმრებულნი იქმნენ პოლკოვნიკი პოპოვი და რამოდენიმე მოქალაქე.

**სახელმწიფო საბჭოს წევრთა რეზოლიუცია.**

**პეტროგრადი,** თიბათვის 3. სახელმწიფო საბჭოს წევრთა კერძო სხდომამ საერთაშორისო პოლიტიკის საკითხზე, შიდლოვსკის მილიუკოვის, შულგინის, მაკლაკოვის და პურიშკევის სიტყვების შემდეგ, მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია: „კერძო სხდომაზე შეკრებილნი სახელმწიფო საბჭოს წევრნი ვგრძნობთ რა, რომ ახლო მომავალში გადაწყდება რუსეთის ბედი, მოვალეობად ვთვლით ხმას ამაღლებას იმ საბედისწერო ნაბიჯების შესახებ, რომელთა გადადგმამ შეიძლება განუზომელ უბედობაში ჩააგდოს ჩვენი სამშობლო. სახელმწიფო საბჭოს, არა ერთხელ განუცხადებია, რომ მიუხედავად ძველი მთავრობის შეცდომა-ბოროტმოქმედებისა ეხლანდელ ომის პასუხისმგებლობა მას კი არ აწევს, არამედ გერმანეთს, რომელიც დიდი ხანია რაც ომისთვის ემზადებოდა. მიზანი, რომლის განხორციელებაც ჰსურს გერმანეთს, დღემდის მისგან გამოუცხადებელია. თუმცა ეს საიდუმლოება, ცოტად თუ ბევრად, უკვე გამჟღავნებულია. მიწა და ფული—აი მიზანი გერმანელთა მისწრაფებისა. სახელმწიფო საბჭოს წევრთა აზრით, გერმანეთთან სეპარატიულ ან და დროებით ზავის შეკვრა უდიდესი ცოდვა იქმნება მოკავშირეთა წინაშე, რასაც მათი ჩამომავლობაც არ გვაპატიებს. რუსეთთან სეპარატიულ ზავის შეკვრით გერმანეთი მთლად მიაღწევს მიზანს, რომლისკენაც მიისწრაფვის. ესეთი ზავი მორალურად ჩამოაშორებს რუსეთს რუსევროპისაგან, რადგან მოღალატე სეთს არავინ იმეგობრებს. სახელმწიფო საბჭოს წევრები თავის მოვალეობად სთვლიან მოაგონონ ხალხს, რომ რუსეთი ყოფნა-არ ყოფნის საკითხის მეტად მრისხანე წინა სდგას, და მოაგონებენ მოქალაქეთ და ჯარს, რომ სამშობლოს ბედ-იღბალი მათ საკუთარ ხელშია. სახელმწიფო საბჭო სცნობს აგრეთვე, რომ ხსნა გერმანელთა მონობისაგან მხოლოდ და მხოლოდ მოკავშირეთა მჭიდრო კავშირით განმტკიცებულ შეტევაშია“.

## ეროვნული საკითხი

**ბელორუსების ეროვნული პროგრამა.**

**მინსკი** თიბათვის 3. ბელორუსების ეროვნულმა კომიტეტმა თავისი პროგრამა გამოაქვეყნა. რუსეთის მომავალ სახელმწიფოს ფორმად აღიარებულია ფედერატიული წესწყობილება. ბელორუსიისთვის ავტონომია არის მოთხოვნილი. აგრარული საკითხის გადაწყვეტას და მიწის განაწილებას ავალებს დამფუძნებელ კრებას. კომიტეტი უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის პრინციპს ადგია. კომიტეტი სასტიკ პროტესტს უცხადებს იმ პროვოკატორებს, რომელნიც წინასწარ ბოროტი განზრახვით ხმებსავრცელებენ, ვითომც ბელორუსია პოლონეთს შეუერთდებაო.

## უკანასკნელი დეპეშები

**დროებითმა მთავრობამ დაავალა იუსტიციის მინისტრს, რომ მან ფინანსების, მიწის-მოქმედების და ვაჭრობის მინისტრებთან ერთად, დამფუძნებელ კრების მიერ მიწის საკითხის გადაწყვეტამდე, შეიმუშაოს პროექტი მიწის ხელშეუხლებლობის განსამტკიცებელ ზომებისა.**

—

**პეტროგრადის მრეწველთა მეორე კონფერენციის სხდომაზე გადასწყვიტეს ენერგიული ზომები მიიღონ ხელფასის საქმის მოსაწესრიგებლად. გადაწყვეტილია მრეწველობის მფარველ კომიტეტის შედგენა.**

—

**სატახტო გაზეთების რედაქტორებს შინგარიოვმა უთხრა, რომ დროებით მთავრობას განზრახული აქვს, სახელმწიფო შემოსავლის გასაძლიერებლად, მეტი გადასახადი მოსთხოვოს შეძლებულ კლასს, გააუმჯობესოს დღიური შრომის ფასის საქმე და ომის ხარჯები შეამოკლოსო.**

—

**იუსტიციის სამინისტროში ქრთამების მიცემისათვის სასჯელის მოსპობაზეა ლაპარაკი.**

## ქრონიკა

### კავკასია

◆ **მევენახე-მეღვინეთა ყრილობა.** თიბათვის 4-ს, დღის 12 საათზე, თბილისში, სასახლეში, დაიწყო ამიერ კავკასიის მევენახე-მეღვინეთა დელეგატების ყრილობა. 35 მაზრიდან გამოცხადდა 108 დელეგატი. ყრილობას აგრეთვე დაესწრნენ ქუთაისისა, განჯისა, ერევნისა და ბაქოს მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტების თავმჯდომარეები, ხოლო რადგან თბილისის კომიტეტის თავმჯდომარე თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი თბილისში არ იმყოფება, კრებას დაესწრო თავმჯდომარის ამხანაგი ა. ა. ეგოროვი. კრებასვე დაესწრნენ თბილისის მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოების მხრივ სამ-სამი წარმომადგენელი და აგრეთვე თბილისისა და ქუთაისის და ბაქოს ქალაქთა აღმასრულებელ კომიტეტების მხრივ თითო წარმომადგენელი. კრება დაიწყო თბილისის მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგმა ა. ა. ეგოროვმა და შესაფერისი სიტყვით მიესალმა მას. არჩეულ იქმნა კრების პრეზიდიუმი: თავმჯდომარედ ვ. ი. რცხილაძე, თავმჯდომარის ამხანაგებად—პ. გ. კონდურალოვი და ვ. გ. [illegible] მდივნად—მოდებაძე, ყიფიანი, გრძელოვი. შემუშავდა დღის პროგრამა. შემდეგ კრებამ მოისმინა მოხსენებანი ვ. ი. რცხილაძისა, მ. ა. ვერმიშევისა და განჯის მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტის თავმჯდომარისა. კრების გაგრძელება შემდეგისათვის გადაიდვა.

◆ **ახალი განკარგულება სალდათების შესახებ.** კავკასიის მთავარსარდალმა გენერალმა იუდენიჩმა ბრძანება გამოსცა, რომლის მიხედვით ის ჯარისკაცები, რომელნიც სამხედრო ბეგარის მოსახდელად გასაწვევნი იყვნენ 1899, 1898 და 1897 წლებში და ამ ჟამად სოფლებში არიან გაშვებული სამუშაოდ, თიბათვის 15-დე უნდა გამოცხადდნენ სამსახურში, თორემ შემდეგ დეზერტირებად ჩაითვლებიან; 1896 და 1895 წლებში გასაწვევთა და ამ ჟამად სოფლებში დათხოვილთა შესახებ ცალკე განკარგულება გამოვა; რაც შეეხება იმ ჯარისკაცებს, რომელთაც ფერშლის ანუ მწერლის თანამდებობა აბარიათ, ამათი დათხოვა სოფლებში შეუძლიანთ ჯარის სათანადო ნაწილის კომიტეტებს, მაგრამ იმ პირობით, რომ საქმე არ დაბრკოლდეს.

### საქართველო

◆ **ქართული თეატრის შენობის** გეგმის შედგენა ქართულმა სატეხნიკო საზოგადოებამ ინჟინერ ლეჟავას მიანდო.

◆ **გ. ნ. ბენეშევიჩი,** დროებითი მთავრობის კომისარი საქართველოს ეკლესიის საქმეებისა, პეტროგრადს მიემგზავრება რამდენიმე ხნით საქართველოს ეკლესიის საქმეების გამო.

◆ **გაზვიადებულ ხმების გაბათილება.** ქუთაისის კომისარი ილ. ჩიქოვანი სწერს აკაკი ჩხენკელს: გაზვიადებულია თბილისის ზოგიერთ გაზეთებში დაბეჭდილი ცნობა, ვითომც ქუთაისში დიდ უწესოებებს ჰქონდეს ადგილიო. ქალაქში სრული სიწყნარეა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ დეზერტირების მიერ დრო გამოშვებით გამოწვეულ ექსცესსებსო.

◆ **ქართველ მწერალთა კრება.** კვირას, თიბათვის 4-ს, თბილისის სათ.-აზნ. ბანკის დარბაზში გაიმართა ქართველ მწერალთა კრება. მსჯელობა იყო ქართველ მწერალთა და ხელოვანთა საპროფესიო კავშირის დაარსებისა, კაზმულ ლიტერატურის ჟურნალის გამოცემისა და ქართველ მწერალ-ხელოვანთა კონფერენციის მოწვევის შესახებ. აირჩიეს კომისია ხუთი კაცისგან: შ. დადიანი, ვარ. რუხაძე, ლ. ქიაჩელი, კ. აბაშისპირელი და დ. მოსული.

◆ **სამწიგნობრო საზოგადოება.** თბილისში ქართული წიგნების გამომცემელ ერთ ჯგუფს, ამ მოკლე დროში, დაუარსებიათ ერთი სამწიგნობრო საზოგადოება, რომელ წრესაც მიზნათ შემდეგი პირობები აქვს დასახული:

მთელს საქართველოს ერში მათ უნდა გაავრცელონ ქართული წიგნები და ჟურნალ გაზეთები. ამისთვის იგინი იყოლიებენ კაცებს და ქართულ წიგნებს და გაზეთებს და შეიტანენ საქართველოს იმ მივარდნილ და მიყრუებულს კუთხეებშიაც კი, სადაც დღემდე მათ ქართული დაბეჭდილი წიგნი თვალითაც არ უნახავთ. ამის გარდა ამავ დაწესებულებას მიზნათ აქვსთ, რომ ქართულს ენაზედ ხანდისხან გამოსცენ სასარგებლო საჭირო წიგნები.

გარდა ასეთის საყურადღებო საქმეთა, მათვე განზრახვა აქვს, რომ ოსებისა, ლეკებისა და ლაზებისათვის, ქართულის ანბანით ბეჭდონ ოსურ-ქართული წიგნები, ლეკურ-ქართული, ლაზურ-ქართული და სხვაც ასეთნი. ამ სახით და გზით ქართული ანბანის დახმარებით გაუადვილონ ხსენებულ ხალხთ წიგნების კითხვის სიყვარული.

ხსენებულ წრეს მიზნათ აქვს, რომ მთელის კავკასიის პატარა ტომთათვის მათ საკუთარ ანბანათ ქართული ანბანი გახადონ. როგორც ეს იყო ოსეთში XVIII საუკ. გასვლამდის, ლეკებში XI საუკუნის გასვლამდის, ლაზებში XVII საუკ. გასვლამდის და ასევე სხვა მთის ხალხებში, რომელთა საკითხებსაც ძველიდანვე ეს ქართული ანბანი შეადგენდა. ქართული ანბანი იყო მთელი კავკასიის ტომთა ანბანი და არა მარტოთ ქართველის. ქართული ანბანი ოსების, ლეკების, ლაზების და სხვათათვისაც, ისეთი საკუთრება იყო როგორც ლათინური ანბანი ევროპის ერისთვის და არაბული ანბანი აზიის ერისთვის. ამ ამხანაგობის დამაარსებელნი გახლავთ შემდეგი პირნი: იაკობ იმედაშვილი, კოწია თავართქილაძე, ისიდორე კვიცარიძე, მიხეილ გაჩეჩილაძე, ივანე როსტომაშვილი და ზ. ჭიჭინაძე.

## თბილისი.

**ახალი კავშირი.** თბილისში არსდება საპატიმროებში მოსამსახურეების კავშირი, რომლის მიზანია საპროფესიო მატერიალური და კულტურული ინტერესების საერთო დაცვა და აგრეთვე პატიმართა დახმარება.

**სტოკჰოლმის სოციალისტთა** კონფერენციის შესახებ ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტმა მოისმინა აკ. ჩხენკელის მოხსენება და დაადგინა მხარი დაუჭიროს პეტროგრადის მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს გადაწყვეტილებას სტოკჰოლმის კონფერენციასა და უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის შესახებ.

**სტუდენტების და ექიმების ჯარში გაწვევა.** სამშაბათს, თიბათვის 6 თბილისის სამხედრო უფროსის კანცელარიაში დანიშნულია კომისია ჯარში გაწვევა სტუდენტებისა, რომლებიც დაბადებული არიან 1898 წელს და, ექიმების რომელთაც არ შესრულებიათ 50 წელიწადი.

**თბილისის მცხოვრებთა საყოველთაო აღწერა.** ამ მოკლე ხანში მოხდება თბილისის მცხოვრებთა საყოველთაო აღწერა. ამ მიზნისთვის შემდგარ კომისიას კრება ჰქონდა თიბათვის 2. გამოანგარიშებულ იქმნა, რომ ამ აღწერის ხარჯებისთვის საჭიროა 20,000 მანეთი. ეს თანხა უნდა გაიღოს სახელმწიფო ხაზინამ.

**ახალი გაზეთი.** თბილისის ხალხის თავისუფლების პარტია სამშაბათიდან გამოსცემს რუსულ ენაზე, ყოველ დღიურ პარტიულ გაზეთს, რომლის სახელი იქნება: „Народная свобода" (ხალხის თავისუფლება).

**სასტუმროების პატრონების თხოვნა.** თბილისის სასტუმროების და მოწყობილ ოთახების პატრონების კავშირის გამგეობამ და სარევიზიო კომიტეტის წევრებმა თავის სხდომაზე თიბათვის 4-ს შემდეგი დაადგინა: პირველი კლასის რესტორანის და სასტუმროების პატრონთ ჰქონდეთ აღებული პატენტი და გადიხადონ სასუალო აქციზი იმ პირობით, რომ მაგარი სასმელების და ღვინის გაყიდვის ნება ჰქონდეთ. ან ასეთი სასმელებით ვაჭრობა აღკრძალული არ იყოს. ამას თანავე მოითხოვენ, რადგანაც აუარებელი ფული აქვთ ამისთვის ტყუილუბრალოთ გადახდილი, ეთხოვოს ქალაქის თვითმართველობას და სახაზინო პალატას, რათა დაუბრუნდეთ ზეტიმეტი გადახდილი ფული.

— მათვე დაადგინეს, სტუმრებს სალფეტკებისა და სუფრის ნაცვლად ქაღალდის სალფეტკები და კლიონკის სუფრა გადაუფარონ. მიზეზად ასახელებენ საზოგადო სიძვირეს და მრეცხველთა ხელის სიმცირეს.

— რადგანაც ამ საზოგადოებაში სამასზე მეტი წევრი ითვლება, კრებამ დაადგინა, ეთხოვოს მომრიგებელ კამერას ამ საზოგადოების სამს წევრს დაუთმონ ადგილი. წევრებად დაასახელეს გ. გორდეზიანი, გიგიბერია და მომცელიძე.

**თბილისის კლუბები.** თიბათვის 3-ს არტისტიულ საზოგადოების დარბაზში კრება ჰქონდათ თბილისის კლუბების წარმომადგენლებს და ითათბირეს თავიანთ მოსამსახურეების მოთხოვნილებათა შესახებ. ლაპარაკი აღიძრა კლუბების კავშირის დაარსების შესახებ. კრება ვერავითარ გადაწყვეტილ აზრს ვერ დაადგა. კრება გადაიდვა მომავალ შაბათისათვის, რომელსაც კლუბების მამასახლისთა საბჭოების მთელი შემადგენლობანი უნდა დაესწრნენ.

**ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტი** სასახლიდან გადავიდა საგუბერნიო სამმართველოში სოლოლაკის ქუჩაზე.

**ინჟენერ ზავალიშინის დატუსაღების გამო.** თიბათვის 3-ს სხდომა ჰქონდა ამიერ-კავკასიის კომისარიატს და დიდხანს ითათბირა წყალთა სამართველოს და სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის დატუსაღებულ ინჟენერ ზავალიშინის შესახებ. დადგენილ იქმნა ჯერ არ გაანთავისუფლონ იგი, მხოლოდ უფლება მიეცეს სამედიატორო სასამართლოში დასწრებისა. აგრეთვე კომისარიატმა საჭიროდ სცნო რევიზია მოახდინოს თბილისის ცენტრალ სამმართველოებში, მაგრამ უპირველესად წყლის სამმართველოში და სამხედრო-სამრეწველო კომიტეტში, საცა ზავალიშინი თავმჯდომარეობდა.

**წვრილ ვაჭართა კრება.** კვირას, 4 თიბათვეს, წმ. ნიკოლოზის სკოლის შენობაში შესდგა 8 და 9 უბნის წვრილ ვაჭართა კავშირის კრება ასლან კალანდაძის თავმჯდომარეობით რაიონული კომიტეტის ასარჩევად. არჩეულ იქმნენ შემდეგი პირნი: არმენაკ მელიქუმოვი, ოვანეზ მიკირტუმოვი, მურად ავეტოვი, მელქო სიმონოვი, სიკო თუთლაშვილი, მამედ ასად-ოღლი, ალექსანდრე დოლაბეგოვი, სანდრო ფარსადანოვი, მიხეილ ლუარსაბოვი, ვასილ გელაძე და იაგორ ულაზოვი.

## პროვინცია.

**უბედური შემთხვევა.** მაისის 11 სოფელ შრომაში ერთი უბედური შემთხვევა მოხდა. გლეხ დიმიტრი მოლაშვილის ოჯახში, მის შინ არ ყოფნის დროს, მის მოჯამაგირემ აკაკი ლომიძემ კედლიდან გატენილი თოფი ჩამოიღო და ათამაშებდა. ამ დროს თოფი გაუვარდა და მოხვდა იქვე მდგომ ათი წლის მოწაფე ქალს—მარიამს მოლაშვილის შვილიშვილს. მარიამი გარდაიცვალა.

**პატარა იუბილე.** დ. ონში მაისის 23 მთელმა საზოგადოებამ მიულოცა რაჭის მომრიგებელ მსაჯულს ი. რ. ტატიშვილს ორმოცდაათი წლის განმავლობაში სამოსამართლო ნაწილში მოღვაწეობისა. ოთხმა საზოგადოების წარმომადგენელმა მიჰმართა მას ცალ-ცალკე შედგენილი ადრესით, სადაც გამოხატული იყო მისი უმწიკვლო, პატიოსანი და ნაყოფიერი სამსახური. მილოცვის შემდეგ ი. რ. ტატიშვილმა საზოგადოებას მადლობა გადაუხადა.

## ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის დამფუძნებელი კონფერენცია

### პირველი დღე

**ა) დილის სხდომა.**

დამფუძნებელ კონფერენციის დილის სხდომა დაიწყო ნაშუადღევს 12 საათზე. ახალი კლუბის დარბაზი ხალხით გაჭედილია. საერთო რიცხვი დელეგატებისა 200-მდე აღწევს. მრავალი დელეგატი ჯერ კიდევ არ ჩამოსულა, მრავალ ადგილებიდან კი ტეხნიკური დაბრკოლების გამო ცოტანი ჩამოვიდნენ. კრება დაიწყო სპირიდონ კედიამ, რომელიც სიტყვით ესალმება საზოგადოებას. სხვათა შორის ორატორმა სთქვა, რომ საქართველოს ეროვნული იდეალი ან ეხლა უნდა განხორციელდეს, და ან არასოდესო; ეხლავე უნდა შევუდგეთ ჩვენი პროგრამის მაქსიმუმი, განხორციელებას. თავისი სიტყვა კედიამ სურვილით დააბოლავა: ღმერთმა ჰქმნას მეორე კონფერენცია უფლება შემოსილ თბილისში გვენახოსო.

სპ. კედიას სიტყვის შემდეგ დაიწყო არჩევნები. წამოყენებულ იქნა რამდენიმე კანდიდატთა სია. მათ შორის იყო სია მთავარ კომიტეტისა. მცირე კამათის და კენჭის ყრის შემდეგ პრეზიდიუმში არჩეულნი იქმნენ შემდეგი პირები: საპატიო თავმჯდომარეებად: ბ. ბ. ნიკო ნიკოლაძე და პროფ. ალ. ცაგარელი. კონფერენციის თავმჯდომარედ სპ. კედია. მის ამხანაგებად: დათიაშვილი (კახელი გლეხი), ვასილ წერეთელი, იოსებ დადიანი, გიორგი გვაზავა, გიორგი ქურული. მდივნებად: შალვა ტატიშვილი, ლ. ჯაფარიძე, ტ. ტაბიძე და რ. ინგილო.

ამ არჩევნებით თავდება დილის სხდომა.

**ბ) საღამოს სხდომა**

კრება გაიხსნა საღამოს 8 საათზე. თავმჯდომარეობს სპ. კედია. წაკითხულ იქმნა ოქმი სამანდატო კომისიის შესახებ სამანდატო უფლებისა, მოხსენებიდან სჩანს, რომ კრებას დაესწრო 164 წევრი.

შემდეგ დაიწყო მისალმება. დამსწრენი აღტაცებით ეგებებოდნენ საქართველოს ყოველ კუთხიდან ჩამოსულთ განსაკუთრებით საინგილოს, ხევსურეთისა და ქართველ ისრაელთა წარმომადგენლებს.

აჭარის წარმომადგენელმა ხოჯა ახმედ ეფენდი ქათამაძემ ვერ დაჰფარა სიხარული, რომ მას შეუძლიან წარმოსთქვას სიტყვა თავისუფალი ქართველისა. იგი იმედოვნებს, რომ განხორციელდება იდეალი ქართველი ერისა, საქართველო მალე ეღირსება განთავისუფლებას, ავტონომიას. მაჰმადიანები ქართველები აღფრთოვანებით ელოდებიან ამ დღეს და იმედოვნებენ, რომ გაერთიანებული აღდგენილი საქართველო შემოიკრებს მაჰმადიან მოძმეებს.

შემდეგ კრებას მიესალმა საინგილოს წარმომადგენელი რაფ. ინგილო. საინგილოო, სთქვა მან, ჟამთა ვითარების გამო მოწყვეტილი იყო დედა-ქვეყანას —საქართველოს, მაგრამ ქართული სული და გრძნობა იქ არ მომკვდარა. აღდგენილმა საქართველომ უნდა შემოიერთოს ეს მრავალ ტანჯული კუთხეც, მთლიანად, გაერთიანებულად და არა ისე, დაქსაქსულად, როგორც ეს ალიარა ამ რამდენიმე კვირის წინად მომხდარ ფედერალისტთა კონფერენციამ. რასაკვირველია, პარტიათა შეთანხმება კარგი მოვლენაა, მაგრამ არ უნდა ტყუებოდეს. ეროვ.-დემოკ. პარტ. დამფუძნებელ ყრილობამ უნდა ავტორიტეტულად აღიაროს, რომ მომავალ საქართველოს ფარგლებში საინგილოც მთლიანად მოემწყვდევა. ამას მოელის საინგილო.

ხევსურეთის წარმომადგენელი **გოგოთურ ჭინჭარაული** მიესალმება ყრილობას და განაცხადებს, ლამაზი სიტყვები, მართალია, გვაფრთოვანებს და გვახარებს კიდეც, მაგრამ საქმეზე რომ გადავიდეთ უმჯობესი იქნებაო. ჩვენს მოწინააღმდეგეებს და მტრებს უნდა ვუჩვენოთ ჩვენი ძალაც. საქართველო უნდა აღსდგეს და მოიპოვოს თავისუფლებაო.

ქართველი ისრაელების წარმომადგენელი **იოსებ ხახანაშვილი** ვრცელ სიტყვაში ახასიათებს ქართველ ისრაელების მდგომარეობას, მათს ყოველგვარს სივიწროვეს, მივიწყებას და გამოსთქვამს იმედს, რომ მათ ეხლა მაინც მიექცევა ყურადღება მოძმე ქართველებისაგან. დელეგატი ამტკიცებს, რომ ისრაელები მხოლოდ სარწმუნოებით განსხვავდებიან სხვა ქართველებში, ეროვნული შეგნებით კი ისინი ნამდვილი ქართველები არიან და იზიარებენ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პროგრამას, როგორც ნამდვილ ქართულ პარტიისას.

კახელი გლეხების წარმომადგენელი **დათიაშვილი** მიესალმება კრებას თელავ-სიღნაღის გლეხების სახელით. აღნიშნავს რა ეროვნულს ნიადაგზე მუშაობის ვითარებას კახეთ-ქიზიყში, იგი, სხვათა შორის, უსაყვედურებს დასელებს, რომელნიც თავიანთი გატაცებით თუ მოქმედებით ლამობენ ისეთი წესწყობილება დაამყარონ, რომ ჩრდილო პოლიუსიდან ვიდრე სამხრეთამდე ერთგვარი ყვავილები ხარობდნენო. საბედნიეროდ დღეს სხვა აზრით არის საქართველო აღფრთოვანებული და მის შეუდრეკელ ნებისყოფას დასელებმაც და სხვებმაც ანგარიში უნდა გაუწიონო.

უკანასკნელი სალამი უძღვნა შორაპნის წარმომადგენელმა, რომელიც უსაზღვრო სიხარულს გამოსთქვამდა დღევანდელ დიდებულ ჟამის გამო.

**თავმჯდომარე სპ. კედია** პრეზიდიუმისა და ყრილობის მხრივ მიესალმება დელეგატებს.

შემდეგ **გ. გვაზავა** არდგენს ვრცელს მოხსენებას „საქართველოს ავტონომიის" შესახებ. მოხსენება შემდეგ სავსებით იქნება დაბეჭდილი. კრება 10 წუთით შეწყდა.

დ. ქ.

## ხმა მშობლებისა

რევოლიუციამ დღეს ყველაფერი განახლა და ძირიანად შესცვალა. ის, რაც გუშინ ვითომდა კარგი იყო, დღეს უვარგისია. ბევრი, ძალიან ბევრი ცუდი იყო ძველ რეჟიმში, რაც გვიმონებდა, გვჩაგრავდა და უფრო მეტად გადაგვარების გზაზედ გვაყენებდა. ჩვენი გადამგვარებელის როლს ყველაზედ მტკიცედ ძველი რეჟიმით აღზრდილნი მასწავლებელნი ასრულებდნენ, ისინი არამც თუ ხალხის აღმზრდელნი იყვნენ, არამედ გონების დამხშველნი და დამმახინჯებელნი. მაგრამ მადლობა ღმერთს, დადგა დრო, ჩვენი შვილებიც მორჩნენ ტანჯვას, დღეიდან ნორჩი თაობა სამშობლო ენაზედ აღიზრდება და მოისპობა ის ყალბი საპედაგოგიო პრინციპები, რომელიც აქამდის გამეფებული იყო.

მაგრამ აქ საკითხია: მერე ვინ, ვინ უნდა ასწავლოს ეროვნულ სკოლაში? სადაც ძირიან ფესვიანად უნდა გარდიქმნას სკოლა და სწავლა-აღზრდა სწარმოებდეს ქართულ ენაზედ. გამოსადგებიან ის ძველი მასწავლებელნი, რომელნიც ესოდენ მტკიცედ ასრულებდნენ დირექტორ-ინსპექტორების ბრძანებას? ბავშვებს ძალას ატანდნენ კაჭკაჭივით ათვისებიბდნენ გაუგებარ ენას და ჩასამარხულის ჰქონდათ სამშობლო ქართული ენა!? ის მასწავლებელნი, რომელნიც აქამდის ამაყობდნენ გარუსებით, რომ ჩვენ, მშობლებთან არც კი კადრულობდნენ ხეირიანად ლაპარაკს; ის მასწავლებელნი, რომელნიც ტუჩ აფშეკით გვიხვდებოდნენ და ღირსად არა გვთვლიდნენ აივანზედ ავსულიყავით ან ოთახში შევსულიყავით.

არა და არა. ისინი ჩვენ ხალხს აღარ გამოადგებიან, ჩვენ გვინდა ნამდვილი მცოდნე ქართული ენისა, ნამდვილი ადამიანი, ხალხის მოყვარული, შემბრალე, მისი დამრიგებელი.

ჩვენ გვინდა მასწავლებელი, რომელიც ქართულ მშობლიურ სულსა და გულს შეიტანს სკოლაში, რომელიც მშობლიურ ზრუნველობას გაუწევს ბავშვებსაც და ჩვენც, მშობლებსაც. დღეს ჩვენ მშობლებსაც გვჭირდება მომზადება, დარიგება. საუბარი, ცოდნის შეძენა. დღეიდან ჩვენც უნდა ჩავერიოთ ჩვენი შვილების აღზრდა-განათლებაში, ჩვენც ხმა უნდა ავიმაღლოთ და თამამად მოვითხოვოთ რაც ჩვენთვის საჭიროა. აღარ დავამახინჯებინებთ ჩვენ შვილებს, აღარ მივცემთ ნებას რომ უგულოდ და უსულოდ მოეპყრნენ და აი ამიტომ დღევანდელი მასწავლებელნი კარგად უნდა აირჩნენ. უნდა ავირჩიოთ ის, ვინც დღევანდელი სკოლისთვის მომზადებულია, ვინც ჩვენთან ე. ი. ხალხთან ახლო სდგას, ვინც დედა-შვილურის გრძნობით და სიყვარულით მიგვიღებს. ჩვენ არ გვინდანან ენის უცოდინარნი, ძველი რეჟიმის გულქვა მოხელეები, ჩვენ არ გვინდანან გადაგვარებულები. მოგვეცით მცოდნე მასწავლებლები.

მშობლები.

## ხუმრობის გუნებაზე

მოგეხსენებათ, საქართველოს ბევრი მზრუნველი ჰყავს:

ნამდვილ ავტოკეფალიასაც ჰპირდებიან, ავტონომიასაც აძლევენ.

მხოლოდ ..

ჯერ დაიცადეთო!

ჰმ!

ნიკოლოზ რომანოვი მით არ იყო პირშავი და პირბნელი, რომ დაპირებაში და ლოდინში გვიწყალებდა თვალებს?!

განა კაი ექიმი ეტყვის ავადმყოფს დაიცადეო?!

არა, არა! თუ თორნე გაცივდება, არც პური დაიკვრება!

დროებითმა მთავრობამ ეხლავე უნდა ყოველი ერი თავის ქერქში და კალაპოტში ჩააყენოს—გამოაცხადოს. თუ რომ მართლა ჰსურს გულდამშვიდებით იმუშაონ და შესაფერი სამსახური გაუწიონ.

თორემ აბა რასა ჰგავს? ერთმანეთში ხალხი ისე აირია, რომ... ბაბილონის გოდოლის აშენება გეგონებათ: ერთმანეთის არც ენა გაეგებათ, არც ზნე-ჩვეულება!.. თანდათან ძლიერდება ანარქია.

პოლონელი გინდა თავის სამშობლოს საქართველოში დაეძებს...

ებრაელი გსურს თავის მიწა-წყალს ივერიაში დაეძებს...

კრუა გსურს თავის კარ-მიდამოს საქართველოში დაეძებს...

დიახ, ქართველებზე ახია: ხიზნებმა იციან, რომ ქართველები ჩუმი და გულკეთილი ხალხია და... იკალათებენ!

მაგრამ... სინიდისიც კაი საქონელია... თვით ძალათ მაცხონებმა უნ და იცოდნენ, რომ რაც არ ერგებათ არ შეერგებათ.

რომ...

საქართველოში შინაურებსაც არა ჰყოფნით თავიანთი მიწა-წყალი და სხვა ქვეყანაში ხომ არ გადიქაჯებიან?!

დიახ, იმას მოგახსენებდით: საქართველოს ბევრი „კეთილ-მოსურნე" ჰყავს მეთქი: სხვათა შორის, პროფესორი ბენეშევიჩი გახლავთ.

არ ვიცოდი თუ პროფესორი შეიძლებოდა შუაკაციც ყოფილიყო!

მაჭანკლობა მე მარტო ცოლქმრობის საქმეში მეგონა, თურმე, საეკლესიო საქმეშიც ყოფილა!

„ქალბატონ ავტოკეფალიას" გათხოვება არა ჰსურს, ის ძალათ ათხოვებს:

მე რომ დამიჯერო უფრო კაი ხეირს ნახამო...

პროფესორ-მაჭანკალს დაუჯერებდა ქ-ნი ავტოკეფალია, რომ წრფელი და ჭეშმარიტი კაცი ყოფილიყო, მაგრამ როგორ დაუჯეროს კაცმა ისეთ ყალთაბანდა ადამიანს, რომელსაც ბოდბის მონასტრის „ბოჟე-ცარია ხრანი" მისწონს და იღუმენია ანასტასია დღესაც იქ ძველებურად ავან-ჩავანობს!?

მაგრამ... თუ გარეულები გვაყრიან „ხეირს", არც თუ შინაურები გვაკლებენ „სიკეთეს": საქართველოში დაბადებული და აღზრდილი ნაფიცი ვექილი გრუზენბერგი რაც შეიძლება ცდილობს, რომ „ზაკავკაზიაში" შემოღებულ იყვეს „პრისიაჟნი სუდი *) რუსულ ენაზე წარმოებით...

ჰმ!

დაცინვაა ჩვენი სხვა არაფერი!

ეს ძველ რეჟიმის დაბრუნებას ნიშნავს, და არა ახალ ხანას!

თუ რომ ამხანაგი გრუზენბერგი იმას შიშობს: ვინიცობაა საქართველოში წესწყობილება ქართულად შემოვიღესო, მე უსაქმოდ დავრჩებიო, ოთხივ კუთხივ მას გზა აქვს: წავიდეს იქ, სადაც ებრაულ ენას გასავალი აქვს...

ეხლა ხომ თავისუფლება და რესპუბლიკაა, რა დაგემართათ, მახინჯებო! მიდექ-მოდექით და ლუკმა იშოვეთ!

საქართველო ხომ მოვალე არ არის?!

რაცქნა, „დავნოსტი" არ გავიდა?!

მოვალეობაზე ჩამოვარდა ლაპარაკი:

ღვთის და კაცთ კანონის ძალით შვილი მოვალეა უძლური დედმამა შეინახოს..

მართალია ამხანაგი კერენსკი ყველას შვილი არ არის, მაგრამ მოვალეა გაჭირვებული მეზობელი გაიკითხოს:

„გრაჟდანინი" კერენსკი ლიბიერი კაცია, მე არა მგონია, რომ ტრეპოვისავით, გორემიკინისავით თუ პროტოპოპოვისავით უმასპინძლდებოდეს მშიერ-მწყურვალებს თოფ-ზარბაზანით.

არა!

მაგრამ... რას წარმოიდგენ—თურმე ტყვია-წამალი ყოფილა ყველა სნეულებათა წამალი.

თუ დეპეშას დაუჯერებთ, თურმე სოციალისტი კერენსკი იარაღით ემუქრება ფინებს: თუ თქვენ იარაზე ხმას ამოიღებთო, ტყვიას ჩაგაყლაპებთო...

მახლას!

ამის შემდეგ მოდი და კიდევ მოითმინე?!

ჰმ!

თუ ხმას ამოიღებ, ავი კაცი ხარ.

დ. ვ.

*) „Кавказ" მაისის 30 1917 წ. № 117.

## საქართველოს განაპიროები

საქართველოს დამაშუნება იმ დროიდან დაიწყო, როცა მას მტრებმა განაპიროები ჩამოათალეს: ჯერ ჭანეთი, მერე სამცხე, შემდეგში საათაბაგოთ და ოსმალეთის საქართველოთ წოდებული, ადგილები და შემდეგ ჰერეთი, რომლის ერთი ნაწილი დღევანდელი ზაქათლის ოლქია.

ყველა ეს სანაპიროები საქართველოსთვის ის იყო, რაც კაცისათვის ზურგის ხერხემალია, თუ დაავადდა ეს უკანასკნელი—სუსტდება კაცის მთელი აგებულებაც. ასე მოუვიდა ჩვენს სამშობლოსაც ამ სანაპიროების ჩამოთლით. თუ გვინდა კვლავ გაძლიერდეთ, როგორც ერი ისევ უნდა აღვადგინოთ მათთან ძმური ეროვნული ერთობა.

მოკლეთ გაგაცნობთ ამ სანაპიროებს. დავიწყებ აღმოსავლეთიდან.

1.

**ზაქათალის ოლქი.**

ეს მხარე ძველი ჰერეთის ნაწილია.

მდებარეობს ალაზანს გაღმა დაღესტნის მთების წყალ გაღმა სადენის აქეთ. მას საზღვრავს: ჩრდილო აღმოსავლეთით დაღესტნის მთები, სამხრეთ დასავლეთით მდინარე ალაზანი და სიღნაღის მაზრა, სამხრეთ აღმოსავლეთით პატარა მდ. კარასუ (შავ წყალი) ნუხისა და განჯის მაზრები, განჯის გუბერნიისა, და ჩრდილოეთით—ქართუბან-ჩაი (ქართუბანის წყალი).

ჯერ კიდევ მე-XV საუკუნეში არა თუ მთელი დღევანდელი ზაქათალის ოლქი, არამედ დაღესტნის ნაწილი—დღევანდელი წახური, საქართველოს ეკუთვნოდა და დაყოფილი იყო სამ საერისთავოთ: ენისელი (ენისენი) (ახლანდელი ალიაბადის ნაწილი), წუქეთა (წახური) და ჭაური.

კონსტანტინე კახთ მეფეს, მამის მკვლელს, კიდევ ეპყრა კაკ-ენისელის ბატონობა და ეჯდა იქ მოურავი.

მთელი ოლქი სიმშვენიერით, ჰავით, მდინარეთა სიმრავლით, სრული მსგავსებაა მისი გაგრძელების—კახეთის გაღმა მხარისა. მიწა კი დღეს ზაქათალის ოლქში ბევრათ უფრო მოსავლიანია, ვიდრე სადმე სხვაგან ჩვენს ქვეყანაში. სივრცით ზაქათალის ოლქი უდრის დუშეთის მაზრას.

მცხოვრებთა რიცხვია ჩემი ცნობებით: ლეკები (მკვიდრნი) 46.250-ა, დაღესტნის ლეკები, რომელთაც კარგის თვალით ვერ უყურებენ მკვიდრნი ლეკები, რადგანაც პირველნი მათ მიწას ეცილებიან 10.000-ა, მუღალები და სხვა მაჰმადიანები 25.000-ა, ქართველები (ქრისტიანი და მაჰმადიანი) 17.000, სომხები 1.500, სხვა ხალხნი 50, სულ კი 100.000 სული.

ლაპარაკობენ უფრო თათრულ ენას, ლეკურს ლაპარაკობენ მხოლოდ ჭარელების 22 სოფელში, კუმუხში, სუვაგილში, ჯინიხში, ბელაქნის ერთს ნაწილში და შეიძლება კიდევ რამდენიმე პატარა სოფლებში.

ქართულს ლაპარაკობს 22 ქართული სოფლებიდან 19, დანარჩენი სამი სოფელი ქართულს აღარ ლაპარაკობს. ქართული იცის: 1) მთელმა ლეკის დიდმა სოფელმა კოვხჭოლმა, ალაზნის პირათ, 2) უმცირესობამ ბელაქნელებისამ, 3) სარიბაშმა და 4) წახურის (დაღესტნის ნაწილის) 12 სოფელმა. მიზეზი სარიბაშელთა და წახურელთაგან ქართულის ცოდნისა ის არის, რომ ამ სოფლების მცხოვრებნი ბავშვობიდანვე თითქმის ყველანი, თავწაყრით, მკალავობას ეწევიან საქართველოში.

ლეკურსა და ადგილობრივ თათრების ენაში ქართული სიტყვები ბევრია, როგორც მაგალითად ფაზი, შუშა და სხვ. ლეკებისაგან ქართული ენის ცოდნა გარდა ქართველების საერთო კულტურის გავლენისა უნდა მიეწეროს იმასაც, რომ დღემდის ქიზიყში წელიწადი არ გაივლის ისე, რომ ერთი ორი ქართველი ბიჭი სოციალურ-პოლიტიკურ მიზეზების გამო არ გადავარდეს ლეკებში და არ „გალეკდეს". გალეკება მდგომარეობს იმაში, რომ გადავარდნილი იღებს მაჰმადის რჯულს, ირთავს ლეკის ქალს და ცოლეურში სახლდება. ამისთანა გალეკებული ისე კვდება, რომ ლეკურს ან თათრულს, ძლივას ლაპარაკობს საყველ-პუროთ. ძალაუნებურათ ლეკები მათგან სწავლობენ ბევრ ქართულ სიტყვას, რომელთა ხმარება მათაც ისე ესახელებათ, როგორც ჩვენში ბევრს ჩვენებურს რუსული სიტყვები ქართულ საუბარში ჩარევა.

ტიპით ადგილობრივს ლეკს ვერ გაარჩევ ქართველისაგან, მაშინ, როდესაც ათას ლეკში გარეულს ერთს დაღესტნელს მაშინვე გაარჩევ სახით სხვა იქ მყოფთაგან.

საფიქრებელია, რომ ძველად მკვიდრი ქართველთაგანი, მცირედი ნაწილი მაინც, დარჩა ადგილობრივ და ფიზიკურათ გაითქვიფა ლეკებში. მაგალითად ს. დარდოხკაზში დღესაც მოსახლეობს ორი ოჯახი ჭავჭავაძეები, რომელთაც შეურჩენიათ წინანდელი ჭავჭავაძური სახე და გვარი. ახალ-ახალი გადმოვარდნილები ხომ, როგორც ვთქვით, ყოველ წლივ ემატება ლეკობას. კაბახჭოლში იქნება ათიოდე გალეკებული ქართველი, და წარმოიდგინეთ, რამდენია ქიზიყელი ქალიც, ლეკებზე გათხოვილნი. ჭარელების ერთს სოფელში ვნახე ერთი ქიზიყელი ბიჭი 23 წლისა ს. ტიბაანიდან, რომელიც ორი წლის წინად გალეკებულიყო.

რომ გამოვკითხე გამაჰმადიანების მიზეზი—მომიგო: ღმერთი ვნახე სიზმარში და მიბრძანა—მე ვარ ნამდვილი ღმერთი, მიდი ლეკებში და მიიღე ჩემი რჯულიო. მეც ავასრულე ბატონო, მისი ბრძანება, დაილოცა მისი სახელიო. ნამდვილი მიზეზი კი ის ყოფილიყო, რომ სალდათობას დაჰმალვოდა.

მოხუცებულმა ლეკებმა—ცეტოვებგმა, პორუჩიკმა, მეფის ამალაში ნამსახურმა 75 წლისამ, ალი ბლა კარახმეტოვმა, სასამართლოში საქმის მწარმოებლათ ნამსახურმა 70 წლისამ და სხვ. მითხრეს, რომ 1860 წლამდე ლეკები, როგორც ბეგები, ისე არა ბეგებიც კაციან-ქალიანათ ქართულად იცვამდნო. ჭარელი ქალები დღესაც ბევრი იცვამს ქართულ გულის პირიან კაბას, ხოლო თავხურვა, ჩიხტა-კოპი, არ იციან, მათი თავხურვა უფრო აფხაზურსა ჰგავს. ზოგი გალაჯოვები ბელაქანში, რომელნიც თავიანთ თავს ვაჩნაძეთა შთამომავლად სთვლიან და ქრისტიანი არიან, დღესაც საპატიო სტუმრების მიღების დროს ქართულად იცვამენ.

ვერსად საქართველოში ვერ ნახავთ იმდენ ეკლესიებს და მონასტრებს, რამდენ ნაშთებსაც ეკლესია მონასტრებისას შეხვდებით ზაქათალის ოლქში. ცხრა მეათედი ამ ნაშთებისა მთებშია და მთების ძირა მაჰმადიან სოფლებში. ბევრი ყოფილა ამგვარივე ნაშთები ნუხის მაზრაში (განჯის გუბ.) და წახურში. ეტყობა ძველად ქართველებს განსაკუთრებული ყურადღება სარწმუნოებრივის კულტურის გავრცელებისათვის მიუქცევიათ ამ სანაპიროში, ისე როგორც სამცხეშიაც. სარწმუნოებრივი კულტურა შეუტანიათ მეზობლების ტერიტორიაზე და მით დაუცავთ სამშობლო არა მარტო ხმლით, არამედ სარწმუნოებითაც.

თუ რამდენად მტკიცედ ყოფილა გავრცელებული ერთ დროს ქრისტიანობა ლეკებში ამას მოწმობს დღესაც დაცული ჩვეულება წახურელ ლეკებისა, მეტადრე ქალთა, იფიცონ „მადლი დიდი კურმუხის საყდრისა". „დიდი საყდრის მადლმაო", რომ იტყვის წახურელი ლეკი და ჰკითხო, რომელ საყდარს ფიცულობო, მოგიგებს—კურმუხისასაო კურმუხის საყდრის შემავალნი ყოფილან, როგორც ვიცი ისტორიით და ადგილის ხალხის გადმოცემით სხვათა შორის წახურიც.

საკვირველია, რომ იქვე კურმუხის ეკლესიის გვერდით მოსახლე მუღალებს და ლეკებს ეკლესიის სახელსაც ვერ ათქმევინებ. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ კურმუხის ეკლესიისა ბოლო დრომდის ნანგრევი-ღა იყო დარჩენილი. ამ ოცდაათიოდე წლის წინეთ თავის ხარჯით ხელახლა ააგო ყოვლად სამღვდელო ლეონიდმა, საქართველოს კათოლიკოსის მოსაყდრემ.

საზოგადოდ ეკლესიის ნანგრევებს

პატივისცემით ეპყრობიან ლეკები და სხვა მაჰმადიანებიც ამ ოლქში. კაკის საბოქაულოში, ლეკის სოფელს ლიაქითში, მთის ფერდობზე, არის ერთი მონასტრის ნანგრევი, რომლის გალავანში იდგა ორი უზარმაზარი კაკლის ხე. ხუთიოდე წლის წინად ორივე ის ხე ტყის ზედამხედველმა მიჰყიდა მოსაჭრელად ნუხელ ვაჭარს, სამ თუმნად თითო ხე. ვაჭარმა რომ მუშები მიიყვანა მოსაჭრელად, სოფლის თავი კაცები ერთობ აღელდენ, შემოერტყენ მათ, წაართვეს ნაჯახები, დაიჭირეს, მიიყვანეს პოლიციის ბოქაულთან ს. კაკში, თორმეტიოდე ვერსზე ლიაქითიდან.

ეს ღვთის გმობაა, ბატონო, ის კაკლის ხეები წმინდა ადგილისაა, ეკლესიისა, თუ თქვენ ქრისტიანი ხართ—ბოქაული ქართველი იყო—დაიცავით ღვთის საკუთრებაო! ჩვენ მაჰმადიანები ვართ, მაგრამ იმ ადგილს ადათით დიდათ პატივს ვცემთ, რადგან ღმერთი ერთიაო! ბოქაულმა აუკრძალა იმ ხეების მოჭრა. ხოლო რადგან ისინი ერთობ ძვირფასი ყოფილიყო, ნუხელმა დახარჯა ზედმეტი, და მთავრობის შემწეობით მაინც მოახერხა მათი მოჭრა მთელი სოფლის სურვილის წინააღმდეგ...

ეკლესიების ნანგრევთ გარდა ზაქათალის ოლქში არის აგრეთვე დაცული ქალაქების ნაშთები—სიღნაღისა და ბაზარის, თუმცა აქვე უნდა ვთქვათ, რომ ნაშთები შენობებისა ოდნავ ამჩნევია მიწის ზედაპირს.

სიღნაღის ნაშთი მდებარეობს ს. კატეხიდან 5—6 ვერსზე, მთაში. დღეს მთელი ის ადგილი ტყით არის მოცული. ამჩნევია კარგათ ეკლესიისა და გალავნის კედლები, დანგრეულ შენობების ქვები, არის თხილის ხეივნები და ვაზები, ხეებზე გასული.

ქალაქი ბაზარის ნაშთი მდებარეობს ს. ტალის მიწებზე ზაქათალიდან თორმეტ ვერსზე და ენისელიდან (ალიაბათთან) შვიდიოდე ვერსზე. ეს ის ბაზარია, სადაც კონსტანტინე მეფემ მამა მოჰკლა და თვალები დასთხარა ძმას წმ. ქეთევანის ქმარს. ეს ადგილი ახლა ეკუთვნის ს. ტალის მცხოვრებ ლეკებს კარახმეტოვებს და მუღალებს შაბან ბეგოვებს: ამ უკანასკნელებმა ბოლო წლებში იჯარით მისცეს მიწები ათ კომლს ნუკრიანელებს, რომელნიც დასახლდნენ იქ, მაგრამ მალე დაიქსაქსნენ.

ძველი ეკლესია არსად ზაქათალის ოლქში არ არის ისე კარგათ და მთლად დაცული, როგორც აქ, ბაზარში. ეკლესია აგურით არის ნაშენი, აკლია მხოლოდ კანკელი და კარი. ეკლესიის ირგვლივ ბევრია ნანგრევების ქვები.

ძველი ჰერეთის და ქალაქის ფიფინეთის ნანგრევი ზაქათალის მოსაზღვრე ჰალის (ტალის) წყლის გაღმა, აღმოსავლეთით არის. ნანგრევი, სულ აღარ აჩნია მიწას, მაგრამ ცხადად შეამჩნევთ, რომ საკმაოა მცოდნე არქეოლოგის მცირე ცდა, და მიწის ქვეშ, არც იმდენად ღრმად, აღმოჩნდება ძველი ცხოვრების ნივთიერი ნაშთები.

ძველი ფიფინეთისა გადარჩენილა მხოლოდ მონასტრის სამი ეკლესიის ნაშთი, ფიფანის მთის ძირას, სოფ. ტალისფე მიწებზე.

მთელს ოლქში და აგრეთვე ნუხის მაზრაში განთქმულია სახელი ფერია ხანუმის, თამარ მეფისა, რომელსაც აწერენ ყველა ეკლესიების და სხვ. ნანგრევების აშენებას. ფერია ხანუმ რომ იგივე თამარ მეფეა, ეს ეჭვს გარეშე უნდა იყოს, რადგანაც ქრისტიანთ ეკლესია-მონასტრების აგება სხვა ქალს ვინმეს შეუძლებელია მიეწეროს, ძველი ჰერეთის მიწა-ადგილებზე.

ყველაფერი, რაც მოჰყავთ ოლქში—ხილი, ერბო, ფრინველობა, საქონელი, სიმინდი, ბრინჯი და ღვინო მთლად კახეთსა და თბილისში საღდება.

ყველაფერი, რაც სჭირდება ადამიანს, გარდა ზემოხსენებულისა, ზაქათალის ოლქი კახეთსა და თბილისში იძენს.

მხოლოდ ბოლო დროს ს. კაკში მოვაჭრე ნუხელებმა დაიწყეს ფარჩეულობის და სხვ. საქონლის შემოტანა ნუხიდან და ბაქოდან. ამ მოვლენას ხელი შეუწყო ომისაგან გამოწვეულ გარემოებამ და კაკის კოოპერატივმა.

**ილია ჭყონია.**

## გზა და გზა

**ორი წლის შემდეგ.**

ორი მძიმე წელი მიდის მას აქეთ, რაც კახეთში პირველად ვიყავი. იმ დროს ომი ახლად დაწყობილი იყო. მიმავალს მიმხაროდა, ბუნება მატკბობდა. აღტაცებაში მოვყავდი ყოველს ბორცვს, სოფელს. ბუნების მაყრული, ფრინველთა წკრიალა სალამური, მცხოვრებთა ცნობის მოყვარეობა, ომის მკვირცხლი საკითხები და ათასად აყვავებული იმედები, რომ ომში წასულნი ტურფა ბედაურებით დაბრუნდებოდნენ და ცოლშვილს გაახარებდნენ,—დღეს მთლად შეცვლილა. არ ვიცი რატომ, ის სიმღერა განთიადისა, რომელიც იმ დროს ღრმად ჩასწვდა ჩემს გულს, დღეს სამგლოვიაროდ მოისმოდა, რაღაცა მწუხარი ფერადებით იხატებოდა თვით კავკასიონზე გადმოშლილი მზის ვარდის კაბა. მცხოვრებნიც თავჩაქინდრულნი მხვდებოდნენ წინ. ყველას სევდა წამოსწოლიათ. დიდი იმედების ნაპერწკალთა ნასახიც არ ჩანს. იშვიათია ჟრიამულის გაგონება. აქა-იქ ოროველას მაგიერობას სწევს პატარა ბიჭის და დედაბერთა „მა-ამ-ჰე-ეი!“. ჩოხისა და ნაბდის ქუდის ნაცვლად უფრო შავი კაბა და თავშალი იჭერს. გამოეხმაურებით, პასუხი სევდიანი, პასუხი გულგატეხილი ადამიანისა, პასუხი ჟამოავლო მომავლის შემყურისი გულს გიწყლავთ. სოფლის გონება მიჯაჭვულია ისევ ბრძოლის ბავშნელი ველისაკენ:—რას ამბობენ, არ ათავებენ ომს?

აი, პირველი საკითხავი. მათი მოწყენილი სახე და სევდიანი თვალები ოდნავ ამოძრავდებიან, უნდათ, სასურველი პასუხი გააგონოთ, რომ მორჩება, მორჩება... ბოლო მოეღება საშინელს სისხლის ღვრას, უადამიანო გლეჯა ფლეთას. თქვენც გსურთ აიმედოთ, გსურთ, სასურველი სიტყვით ისევე ასიამოვნოთ, როგორც სიკვდილის პირად მისული ჰლექიანი სიცოცხლის დღის გაგრძელების დაიმედებით, გსურთ უთხრათ, რომ... მალე იქნება... მალე... მაგრამ რამდენჯერ გაიგონეს ეს სანატრელი „მალე“, რამდენჯერ გაუცრუვდათ იმედების სხივითა გარდაშლა, რამდენჯერ გული დასწყვიტა „მალეს“—მახვილის გადატეხამ! უნებურათ თქვენც თავს დაჰღუნავთ, დამნაშავესავით როდესაც წაილუღლუღებთ და ლობე-ყორეს მოდებული ეცდებით ეცდებით—ნახტომი გააკეთოთ, თავიდან აიცდინოთ მძიმე პასუხის გაცემა. მაგრამ მესაუბრეც მიგიხვდებათ ჩაიღიმებს, მწარე ნაღველი შეჰკეცავს მის ნაოჭებს. თქვენც ქუდმოგლეჯილი გარბიხართ, გარბიხართ თითქოს კაენი იყოთ, თითქოს უკან დატოვებული მოუპარის თვალის ისრებს ბეჭები გაეხვრიტოთ და სადღაც შორს გერეკებოდესთ...

ოჰ, ძნელი, მეტად ძნელი რამ იყო ჩემი კახეთისკენ გამგზავრება ამ ორი, მეტად მძიმე და კაეშნიანი წლის შემდეგ. რა უფსკრული გაუვლია ორი წლის ქარიშხალს ყორნისებური ფრთების ქროლვით!

**დ. კახრაძე**

(შემდეგი იქნება)

## ჭიათურა

მაისის 12-ი ისტორიული დღეა ჭიათურის შავი ქვის მრეწველთათვის. ამ დღეს პირველად შეიკრიბენ ისინი, მთავრობისა და თავიანთგან არჩეულ აპეკუნთა გარეშე და პირველად გამოსთქვეს თავისუფლად თავიანთი გულის ნადები, მაგრამ გამოთქმა მარტო ხომ არ კმაროდა საქმისათვის; ეს მარტო წინედ შეიძლებოდა: მათ წინედაც ბევრჯელ გამოუთქვამთ და გადაუწყვეტიათ კიდეც, როგორც ქუთაისიდან საბჭოს გადმოტანა, ისე ქართულ ენაზე ლაპარაკი და სხვა მრავალი მრეწველთა საბჭოში დასაკანონებლად. მაგრამ მათ სამართლიან სურვილს ყოველთვის წინ ეღობებოდა მრეწველთა ორგანო; საკმაოა თვალი გადავავლოთ საბჭოს შრომა ანგარიშებს 1900 წ., სადაც მკითხველი ადვილად დაინახავს საბჭოს მუდმივ შრომას და მის საქმიანობას, მაგრამ მრეწველთათვის ამ ხნის განმავლობაში კი არაფერი გაკეთებულა, ამ კლასს, რომელიც ჭიათურაში არც ისე მცირეა, საბჭო მუდამ შეუგნებელ და მომთმენ მუნჯ პიროვნებათ სთვლიდა. ამაში არც სტყუვდებოდენ საბჭოს მესვეურნი და მართლაც, რომ კომერციულ ცოდნას მოკლებული თავიდანვე ეს კლასი მუდამ სხვისი საააპეკუნო სრულიად მივიწყებული, მხოლოდ შეუგნებელი გზით იყო წარმოებაზე მიჯაჭვული, სრულიად მოკლებული წარმოებაში ტეხნიკურ ცოდნას. საბჭოც უყურებდა ამას ისე თავისი საჭიროების თვალსაზრისით, რომ მეტი დამუშავებულიყო შავი ქვა, რაიც მეტ შემოსავალს მისცემდა საფუთო გადასახადის სახით მის კასას. ასეთი შემოსავალი ფულიდან, რაც წელიწადში ხშირად მილიონ მანეთამდეც კი აღწევს, არავითარი თანხა არ მოახმარა მრეწველთა ინტერესების დაცვას. სახეში მაქვს წარმოებაში ტეხნიკური გაუმჯობესების შეტანაც, ჭიათურაში სამთამადნო იარაღების საწყობის უქონლობა, ეს საწყობი მრეწველობას დიდ სამსახურს გაუწევდა და საბჭოსაც სარგებლობას მისცემდა (ბაქოს ნავთის მრეწველთ უკვე დიდი ხანია აქვთ ასეთი საწყობი). საბჭომ სათადარიგო თანხა ვერ შექმნა. ეს საჭირო იყო თვით საბჭოსათვის აუცილებელ კრიზისების დროს რაც ხშირია ჭიათურის წარმოებაში. კრიზისების დროს მუდამ საფრთხეში ვარდება საბჭოს აუარებელი დაწესებულებანი, და მრეწველ-მუშათა დახმარებას რომ თავი დავანებოთ, თვით საბჭოს მოსამსახურენი (მოიგონეთ 1915—6 წლები). სამარხი კასა მრეწველებისათვის, სწავლა განათლების საქმე და სხვა. საბჭო ხომ მრეწველების სურვილების და ინტერესების გამომხატველი უნდა ყოფილიყო, მაშ რატომ არ მოიყვანა საბჭომ სისრულეში 1900 წელს მრეწველთა მორიგ კრების გადაწყვეტილება ამ დაწესებულების ჭიათურაში გადმოტანის შესახებ? შემდეგაც რამდენჯერმე მოხდა ასეთი დადგენილებანი მრეწველთაგან მაგ. 1905—6 წლებში და შემდეგაც, მაგრამ ყოველივე ეს დადგენილებათ დარჩენილა, რადგანაც, როგორც არა ერთხელ გვითქვამს, მრეწველთა გულის თქმას და მათ კანონიერ მოთხოვნილებათ ყურადღებასაც არავინ აქცევდა. ეს თითქმის წვრილ მრეწველებზე, ხოლო მსხვილი მრეწველ-ექსპორტიორნი ყველგან კარგად ჰგრძნობდენ თავს, თუმცა მათ ინტერესიც იყო რომ საბჭო ჭიათურაში ყოფილიყო, რადგან წარმოება და მუშა მრეწველნი მუდმივათ ჭიათურაში არიან და მათი ორგანო აბა რა საპრიანოა ქუთაისში.

მაისის 12-ის კრებაზე ყველა მრეწველ-ექსპორტიორი შეერთდა, რადგან საკითხი ყველასთვის თავსატეხი იყო. ეს კრება მოხდა არა საბჭოს წინადადებით, არამედ მათ დაუკითხავადაც კი და ეს ასეც უნდა მომხდარიყო და მით უმეტეს ამ რევოლიუციის დროს, როცა მრეწველ-ექსპორტიორი საბჭომ სრულიად უყურადღებოდ მიატოვა და არც ერთი კრება არ გამართა, არც ერთი ინიციატივა საბჭოს წარმომადგენლებმა არ გამოიჩინეს ამხანად თანამედროვე თავსატეხი საკითხების ირგვლივ, როგორც სამრეწველო საკითხებში და მის გარეშეც. სწორედ ამან აფიქრებინა მრეწველებს საკუთარი ინიციატივის გამოჩენა, თავიანთსავე ინტერესების დასაცავად და ამიტომ იყო, რომ ყველა მრეწველნი მიუხედავად მდგომარეობისა დღეს შეთანხმებით გამოვიდა სამოქმედოთ და მრავალი საჭირ-ბოროტო თანამედროვე საკითხების მოსაგვარებლად. პირველ რიგში დგას ქუთაისიდგან შავი ქვის მრეწველთა საბჭოს გადმოტანა ჭიათურაში, რაიც დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს ორი თვისა. ამისათვის აირჩა განსაკუთრებული კომისია, რომელიც საბჭოსგან დამოუკიდებლად იმოქმედებს სრული უფლებით. ამ კომისიას ევალება მოაწესრიგოს საამისოდ ყოველივე ე. ი. გამონახოს ჭიათურაში შესაფერისი ბინები, შეიმუშაოს ახალი და თანამედროვე პირობების შესაფერისი წესდება მრეწველთა საბჭოს სამოქმედოთ, რომელიც აგებული იქნება უფრო დემოკრატიულ პრინციპებზე, ეს მხოლოდ საბჭოს გადმოტანის შემდეგ. ასეთი წესდების შემუშავებაში კომისიას შეუძლია მოიწვიოს გარეშე მცოდნე პირებიც და თვით საბჭოს დღევანდელი წარმომადგენელნი, თუ ისინი საამისო სურვილს გამოაცხადებენ.

საყურადღებოა, რომ ჭიათურის მრეწველთა კრებაზე, თვით საბჭოს ჭიათურის მოსამსახურეთა 80 კაცის წარმომადგენელმა გვაცნობა მოსამსახურეთა ერთხმივი დადგენილება, რომლითაც ისინიც უერთდებიან ჩვენს დადგენილებას საბჭოს გადმოტანის შესახებ. საკითხი ტრიალებს მხოლოდ ქუთაისის მოსამსახურეთა შემადგენლობაზე. როგორც ვიცით, ისინი თავიდანვე ეწინააღმდეგებიან ამის განხორციელებას, მაგრამ ეს იყო წინედ, წინედ, როცა მრეწველთა კანონიერ მოქმედება-მოთხოვნილებას, ათასი დამაბრკოლებელი მაზეზები ეღობებოდა წინ და ამით ისინიც სარგებლობდენ, მაგრამ ეხლა კი ყოველივე ცდა ასეთი ამაო იქნება; მოსამსახურენი საბჭოსათვისაა და არა საბჭო მათთვის.

დღევანდელი კომისია ახლაც კანონიერი გზით იმოქმედებს და ეს კანონიერი გზა მარტო მიწერ-მოწერა კი არ იქნება, არამედ ასრულება იქნება დავალებულისა. საამისო გზა უკვე გამონახულია, ხოლო ამას, თუ რამე მოულოდნელი მიზეზები გადაეღობა წინ, ეს იქნება საბჭოს წარმომადგენელთა ცდა, ცდა ძველი გზით სიარულისა და მაშინ უკვე არსებული საბჭო გარიყული, განცალკევებული დარჩება უსახსრობით, ხოლო მის ადგილზე ჩვენ ვიხილავთ განახლებულ საბჭოს, რომელიც რევოლიუციონური გზით მიაღწევს ამას, მაგრამ ეს საშუალება კანონიერ გზათ იქნება ცნობილი, და მაშინ პასუხისმგებლობა არა მრეწველებს დაატყდებათ თავზე, არამედ საბჭოს წარმომადგენელთ. ეს, რასაკვირველია, უკანასკნელ შემთხვევაში, ჩვენა ვართ პასუხისმგებელნი ე. ი. მრეწველები და მათგან არჩეული კომისია.

კომისიამ უკვე მოახდინა პირველი სხდომა და როგორც მრეწველთა კრების დადგენილება, ისე თავისი დასკვნა, უკვე აცნობა საბჭოს ქუთაისში, რომელზედაც თხოულობს სასწრაფო პასუხს.

დასკვნა: ნურავინ იფიქრებს, თითქო ჩვენ გვინდოდეს უკვე არსებულის დასამარება. არა, ეს შეცდომა იქნება, ეს თვით საქმიდან ჩანს; ჩვენი სურვილია საბჭო ახლოს უდგეს მრეწველობას, პირიქით ეხლა, როცა მრეწველობისათვის ახალი ხანა იწყება. მრეწველთა სურვილია, უზრუნველყოს იგი საფრთხისაგან და ააგოს მისი არსებობა უფრო მკვიდრ ნიადაგზე ისე, რომ მრეწველობა საბჭოსათვის, რამდენადაც ეს მის საარსებოთაა საჭირო, ხოლო საბჭო-კი სრულიად მრეწველობისათვის უნდა იყოს ცნობილი.

**ა. ხაბულიანი.**

## კორესპონდენცია

### კომიტეტები სოფლად

**დიღომი.** წარსულ აპრილის 30 სოფ. დიღომში მიწვეული იყო მთელი სოფლის ყრილობა. ყრილობის მიზანი უნდა ყოფილიყო ძველი კომიტეტის წევრთა გადაყენება. საუბედუროდ ყრილობას სოფლის უმცირესობა დაესწრო (მეოთხედი მთელი სოფლის მცხოვრებთა), მაგრამ ამის მიუხედავად ყრილობა მაინც გაიმართა რ. მ. თავმჯდომარეობით, რომელიც განაგებდა კრებას ჩვეულებისამებრ, როგორც მამასახლისობის დროს, ძველ წეს-წყობილებაზედ. ბ-ნი რ. მ—შვილი ერთი კვირის წინეთ სოფლის ყრილობიდან გაიქცა დიდის უარით, სოფელს ვერ ვემსახურები, რადგანაც სოფელი შეურაცყოფას მაყენებს თვის მოქმედებითაო. მაგრამ, როგორც გამოირკვა, სინამდვილე მისი გაქცევისა თურმე ჯამაგიროთ სამსახური ყოფილა. და როდესაც გაიგო ბ. რ. მ—შვილმა, რომ კრების საგნად ჯამაგირების დანიშვნა იქნებაო, ის დიდის კმაყოფილებით დაესწრო ამ ყრილობას და თავისი თავი ამოურჩევლად თავმჯდომარედაც დასახა. კრების გახსნის უმალვე მან წარმოსთქვა სიტყვა თავის ვითომ-და დიდ მოღვაწეობაზედ, რომელშიაც მან საწყალი ხალხის ფეხზედ წამოყენება მხოლოდ თავის თავს მიაწერა. სხვათა შორის მან მოაგონა ხალხს თავის მამასახლისობა, როდესაც მას ვითომც აგრეთვე დიდი ღვაწლი მიუძღოდა ხალხის წინაშე, მაგრამ კი უნდა ვსთქვათ, რომ ყოველი დიღმელი, დიდი თუ პატარა, იმის მოწამე არის, რომ ბ-ნი რ. მ—შვილი მამასახლისობის დროს ისეთივე მოქრთამე და ხალხის მყვლეფავი იყო, როგორიც ყოფილი ყველა პოლიციელი ძველი მთავრობის დროს. მაგრამ მისმა ოსტატურმა და მლიქვნელმა ენამ სოფლელნი ისე მოხიბლა, რომ თვისი წარსული სულ დაავიწყა და ყველაფერში დაიყაბულა და იმ წამსვე მოაგონა ხალხს, რომ ერთმა მათგანმა (ვანო გენებაშვილმა) მას დიდი შეურაცყოფა მიაყენა და უსამართლო უწოდა, რაზედაც ხალხს სთხოვა აღძულებინათ იგი და დიდი ბოდიში მოეხდევინებინათ მის წინაშე. მართლაც რომ მას ხალხი ეთანხმებოდა, თუ ამ დროს ერთი ვინმე არ გამოჰპასუხებოდა მას და არ მოეგონებინა ხალხისათვის, რომ ბ-ნ რ. მ—შვილის უსამართლოდ დასახვა ვ. გენებაშვილისგან მართალია, რადგანაც იგი დღესაც დიდს უსამართლობას სჩადის ხალხის წინაშე. ბ-ნ რ. მ—შვილმა არ დააცადა სიტყვის გათავება მოპასუხეს, ფედერალისტ-პროვოკატორი უწოდა და კრებიდან მისი გაძევებაც მოინდომა. ხალხმა დასტური დასცა და ორატორი იძულებული იყო დაჰმორჩილებოდა კრების სურვილს.

ამის შემდეგ ბ. თ. მ-შვ ლმა ისარგებლა ხალხის დაღლილობით და საჩქაროდ მ ჰმართა არჩევნებს, ჩამოთვალა ყველა ყოფილი კომიტეტის წევრები და მათთან თავისი თავიც და არც კანდის ყრა და არც ბევრი თავის შეწუხება, დაითანხმა ხალხი ისევ ისინი დარჩენილიყვნენ. ჩამოატარებინა სია და ყველა ჩააწერინა. ვინც წერვა არ იცოდა, იმას ნიშნათ ვითომდა მოწმები მათი არჩევისა და ასე გამოაცხადა თავიანთი თავი არჩეულებად. ბევრი შეგნებული მხრებ აწეული წავიდა სახლში მათი ამგვარი ქცევის გამო.

ამგვარი არჩევნები რამდენადაც ვიცი, უკვე ტიპიურ არჩევნებათ იქცა პროვინციაში. შველაა საჭირო.

**ა. ხ—შვილი.**

## პროვინციის ვითარება

**ქართლი.** უკვე სამი თვეა მას უკან. რაც რუსეთის დედა-ქალაქში თავისუფლების ზარმა ჩამოჰკრა და თვითმპყრობელობა დაეცა, ხალხმა უცბათ თავისუფლად ამოისუნთქა, მაგრამ საუბედუროთ თუ საბედნიეროთ ხალხი უთვლელ ჯგუფებად დაიყო და ყველამ თავის სურვილი წამოაყენა. სურვილთა სხვა და სხვაობამ და ძალთა უთანასწორობამ ჯგუფი ჯგუფს დაატაკა, პარტია პარტიას მიუსია, არბევენ ერთმანეთს და ურიერთ შორის ლანძღვაგინებით იკლავენ სურვილს; ყველა, ხალხის მასწავლებლად გადაიქცა და ადმინისტრატორად შეიქმნა; ყველამ თავისი პირადული ინტერესები წინ გადაგვიშალა და სცდილობს დროთი ისარგებლოს, თავის პირად მტრებთან გასასწორებლად; გაიხედეთ რა ხდება იმერეთში—ერთი პარტიის წარმომადგენელი მეორეს იჭერს, შეურაცყოფას აყენებს და თავისუფლობას უხშობს.

ქუთაისის 29 აპრილის ამბებმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა და მწარე ფიქრებში გაგვახვია!

შეხედეთ რა ხდება სოფლების მიტინგზე, თითქო ყველა ზრდილობა, ეთიკა, შეგნებულობა დაჰკარგვია—ერთიმეორეს აბუჩად იგდებს, სიტყვით თუ მოქმედებით შეურაცხყოფას აყენებს, ლაპარაკის ნებას არ აძლევს, ტრიბუნიდან, თავში ცემით, ძირს აგდებს და შეურაცხყოფილს კრებიდან ისტუმრებს!

გახედეთ რა ხდება სოფლების კომიტეტებში, რომლის მეთაურებად ბევრგან ხალხის დაუკითხველად სრულიად მოუმზადებელი და საერთო ინტერესების გარეშე მდგომი პირნი გამხდარან, რომლების წინაშე ხალხს არ შეუძლიან კრინტი დასძრას, თავის საჭიროებაზე თავისუფლად, მოურიდებლად ილაპარაკოს! ყველას ემუქრებიან და ბევრი კიდეც სრულიად უმიზეზოდ, დაიჭირეს და დაატუსაღეს! ასე ხდება სოფლის კომიტეტებში, ასე მოღვაწეობს უმრავლესობა მათგანი.

დრო გადის და ისევ ეს უშიშარი რაინდები განაგებენ სოფლის საქმეებს, მაგრამ ვინ იცის ამ ხნის განმავლობაში რამდენი გულშემზარავი საქციელი არ ჩაიდინეს და პატრონი კი არსით არის; ხალხი ბევრგან დუმილით მოცული შესცქერის და ხმა ამოუღებლივ ემორჩილება მათ მრავალ უკანონოებას. მათ საქციელთა შორის ხალხის აღშფოთებას უფრო იწვევს, რომ ეს ვ. ქ. ბატონები თავის პირად ინტერესების მიხედვით იჭერენ უდანაშაულო პირთ და შემდეგ წერით თუ სიტყვით ცილს სწამებენ, ვითომ მათ ახალ მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაცია გაეწიოთ! ზოგიერთ სათითაო წევრი პირადულ ინტერესების მიხედვით არიან შეპყრობილნი და შეურაცყოფილნი!

სოფლის აღმასრულებელ კომიტეტების მეთაურ წევრთა ასეთი მოქმედება, უეჭველია, ხალხის საერთო უკმაყოფილებას გამოიწვევს და სახიფათო მდგომარეობაც მოსალოდნელი შეიქმნება; დღევანდელი მომენტი თხოულობს, რომ მეტი სიფრთხილე, სიდინჯე და გონივრობა გამოვიჩინოთ და შინაურ მმართველ-გამგეობის საქმეს ისე ვასრულებდეთ, როგორც ხალხის საერთო სურვილი თხოულობს და არა რომელიმე პიროვნება; დღეს პიროვნების სიჯიუტეს, მის კერძო ინტერესებს ადგილი არ აქვს და მის მაგიერ საჭირო ხალხის საერთო სურვილი, მისი საზოგადო მოთხოვნილება დამყარდეს და შეგნებული ელემენტიც მას შესაფერ ანგარიშს უწევდეს; მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ მრავალ სოფლის კომიტეტების მრავალი წევრნი ძალიან ჩქარობენ და ხალხის საერთო სურვილს არ დასდევენ.

დღევანდელი მომენტი მეტ სიფრთხილეს, სიდინჯეს და გონივრობას მოითხოვს!

**გ. მ.**

## წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო, გთხოვთ ეს წერილი დამისტამბოთ:

ნაცნობთა და მეგობართა საგულისხმოდ ვაცხადებ, რომ 1 მაისიდან აღარ ვიმყოფები „საქართველოს“ რედაქციაში. ამის გამო ყოველ-გვარი მიწერ-მოწერა ჩემთან კეთილ ინებონ და ჩემი ბინის მისამართით აწარმოვონ (Тифлисъ, Вакэ, домъ Жданова).

პატივისცემით

**ნიკოლოზ ხვ. კურდღელაშვილი.**


## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მიმოსვლა**

(დრო ნაჩვენებია თბილისი-ი)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 11.48 | საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 8.20 | დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 9.20 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 8.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-8, | 11.1[illegible] | საღ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 7.51 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.24 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 10.40 | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3***, | 8.10 | დილ. |

# საავადმყოფო

**სამხედრო ექიმ სპეციალისტებისა მოსიარულე ავადმყოფებისთვის:**

დიდი ვანქის ქუჩა № 3. ალექსანდრეს ბაღის ახლო, ტელეფონი 431.

**ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საათამდე.**

ბელანჟე—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. ღებულობს 10—12 ს. ყოველდღე.
გეინაცი—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
ახპიხოვი—ყელის, ყურის და ცხვირ. 1—2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.
ფირადოვი—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.
მონხე—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველ დღე.
ჩუდნოვსკი—შინაგან და ნერვიულ ავად. 12—1ს აათ. ხუთშაბ. და კვირაობით.
ბეგზადოვი—ქალთა და საბებიო ყოველ-დღე 2—3 საათამდე.
იოხელიანი—ქალთა და საბებიო ავად. ღებულობს ორშ., ოთხშ. და პარ. 11—12 ს.
ნარიმანოვი—ვენერიული ავად. ყოველ-დღე 10—11 საათამდე.
დეკანოზოვი—ქალთა ავად. სამშაფათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.
ტროიცკაია—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე.
ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.
ბაგდოევისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 3—5 საათამდე.
ალიხანოვისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 10—12 საათამდე.

100—667—17

## თევზის მრეწველნი

# ძმ. მეზველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 112.**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და საგამჭოვო სახლ. „დ. მეზველოვ-ძმებ“, [სა]მრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მ[illegible]“ ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის შამაიხა მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და ხორციანი [illegible] რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება. (წ.)


რედაქტორი [illegible] სტამბა „ცხოვრება“ ძმან კალანდაძისა, გამაყის შესახვევი № 4. გამომცემელი ამხანაგობა „საქართველო“.